

K 68 661
3 ov

014 0363 430
8/08 24 01101335

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



მეცნიერულ-პოპულარული სერია **ეროვნული
ბიბლიოთეკა**


K $\frac{68.661}{3}$ ⁰⁸

დ. ტაბიძე

ვაჭის სედექცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1956



მეცნიერულ-პოპულარული სერია **ეროვნული
ბიბლიოთეკა**

დ. ტაბიძე

ვაზის სედექცია

1988.6.6
ნა 3 მ

**სკეპ-2000
ფეოფიფიკულია**



შენახალი

ვაზი ერთ-ერთი უძველესი და უძვირფასესი სასოფლო-სამეურნეო მცენარეა, იგი საქართველოში უხსოვარი დროიდან არის გავრცელებული. ვაზის ადგილობრივი ჯიშების დიდი სიმრავლე (500-ზე მეტი ჯიში) და გასაოცარი მრავალფეროვნება უდავოდ იმის დამამტკიცებელია, რომ საქართველო გარეული და კულტურული ვაზის ჯიშების წარმოშობისა და გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი კერაა (ნ. ვავილოვი, ა. ნეგრული, ი. ჯავახიშვილი, ნ. კეცხოველი და სხვ.). ვაზი თავისი წარმოშობით სუბტროპიკული ჰავის მცენარეა, თავდაპირველად იგი მხოლოდ თბილ და ზომიერ-თბილ ჰავიან რაიონებში იყო გავრცელებული. მხოლოდ საუკუნეების მანძილზე ადამიანის მიერ წარმოებული შერჩევისა და ზემოქმედების შედეგად, გახდა შესაძლებელი მისი შორს ჩრდილოეთითაც გავრცელება (მოსკოვის ოლქი). ამ მხრივ დიდი დამსახურება საბჭოთა ქვეყნის მეცნიერებს მიუძღვით. მეფის რუსეთში მევენახეობა მხოლოდ სამხრეთ რაიონებში იყო გავრცელებული და არ წარმოებდა მუშაობა ვაზის ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და მაღალმთიან რაიონებში გასავრცელებლად. ახლა კი ბუნების დიდი გარდამქმნელის ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინისა და მისი მოწაფეების მიერ წარმოებული მუშაობის და მოპოვებულ მიღწევათა შედეგად შესაძლებელი გახდა ვაზის გავრცელების საზღვრის შორს ჩრდილოეთით და მაღლა მთებში გადანაცვლება. საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მუშაობის მეთოდების გამოყენებით, მიზანდასახული შეჯვარებით და ახალგაზრდა ჰიბრიდული ნათესარების მიმართულებითი აღზრდის წარმოებით შესაძლებელი შეიქმნა გარემო პირობებისადმი უფრო შე-



გუებუღი ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა და მევენახეობის საზღვრის უფრო შორს ჩრდილოეთისკენ გადაწევა. ყურნაა სმოლენსკის, მოსკოვის, რიაზანის ოლქში, ალტაის და ბაშკირეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაშიც კი მოჰყავთ, ძირითადად, ყინვაგამძლე საადრეო ვაზის ჯიშების გაშენებით. შემჩნეულია, რომ როცა ვაზი ვითარდება მისთვის შესაფერ პირობებში, იგი შედარებით ნაკლებად ცვალებადობს, ხოლო როცა გარემო პირობები არ შეესატყვისება ვაზის მოთხოვნილებას, იგი უფრო ადვილად იცვლება და იძენს ახალს, მისთვის სასარგებლო თვისებებს ან იღუპება. ეს ცვლილება შეიძლება შეეხოს როგორც მთლიანად მცენარეს, ისე მის რომელიმე ნაწილს. ამ შეცვლილი მცენარის ან მისი ნაწილის ვეგეტატიური გამრავლებით შესაძლებელია მოპოვებული ცვლილებების მემკვიდრეობით დამაგრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ცვლილება შეეხება გარემო პირობებისადმი უკეთ გამძლეობას, მოსავლიანობის მატებას, ყურძნის სიმწიფის დაჩქარებას, სავეგეტაციო პერიოდის შემოკლებას და სხვა სასარგებლო თვისებებს. ბუნებაში ხშირია მცენარეული ორგანიზმებისა და მათი ცალკეული ნაწილების ცვალებადობის ფაქტები, აგრეთვე მათი მემკვიდრეობითი დამაგრების შემთხვევები, როცა ეს შეცვლილი ნაწილები ვეგეტატიურად მრავლდება. მკვეთრი ცვალებადობის, მაგალითად, მტევნის სიდიდის, მარცვლის სიმსხოს, მისი ფორმისა და შეფერვის შემჩნევა — გამოვლინება და შემდეგ მყნობით მისი მემკვიდრეობით დამაგრება ძნელი არ არის. ვაცილებით უფრო ძნელია მცირე ცვალებადობის (ცვლილებების) შენიშვნა და მისი მემკვიდრეობით დამაგრება. მათ დასაჭერად საჭიროა მახვილი თვალი და მუდმივი გამაუმჯობესებელი სელექციის წარმოება და საჭირო პირობების შექმნა ამ ძლივს შესამჩნევი ცვლილებების დასაგროვებლად და გასაძლიერებლად.

მევენახეობაშიც ხშირია ცვალებადობის წარმოქმნისა და მათი მემკვიდრეობითი დამაგრების შემთხვევები. ქართული საწარმოო ვაზის ჯიშების ბევრი ვარიაცია კვირტის ცვლილე-

ბების გზით უნდა იყოს წარმოქმნილი სახელდობრ: საფერავის ვარიაციები: დიდთანაყვავილოვანი, მსხვილმარცვალა, საფერავი ბუდეშურისებრი და სხვ; რქაწითლის ფერმარცვლიანი, წვრილმარცვალა; მწვანის—ცოლიკოთურისა (ყვითელი მწვანე); ცოლიკოთურის—ოვალურმარცვლიანი და მსხვილმარცვალა და, აგრეთვე, გორული მწვანის—მეჩხერმტევენიანი ვარიაცია და სხვ.

ჩვენი საწარმოო ჯიშების მალაღმოსავლიანი მოდგმები თანდათანობითი ცვლილების გზით უნდა იყოს წარმოქმნილი. მალაღმოსავლიანი მოდგმების გამოვლინება უფრო ხანგრძლივ დაკვირვებასა და შემოწმებას მოითხოვს, რადგან, ზოგჯერ ვაზის მალაღმოსავლიანობა ადგილის კარგი მდებარეობით, ნოყიერი ნიადაგით და გრძელი გასხვლით არის გამოწვეული. სელექციის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვავლინოთ მემკვიდრეობით მალაღმოსავლიანი ვაზები და გამოვთიშოთ ბუნებით მცირემოსავლიანი ვაზები.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია საქმისადმი ცალმხრივი მიდგომით—მარტო სელექციური მუშაობის წარმოებით ან მარტო მოწინავე აგროწესების შესრულებით. ამოცანის სწორი გადაჭრისათვის საჭიროა ვენახების კარგი მოვლა-დამუშავებასთან ერთად სისტემატური სელექციური მუშაობის წარმოება ვენახში.

ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ სწორად შერჩეულ ჯიშს, ვენახების კარგი მოვლისა და შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში, შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანა.

აღნიშნულის შესაბამისად ვაზის სელექციის წინაშე ისახება შემდეგი ამოცანები:

1. ვაზის ჯიშების სწორი შერჩევა მევენახეობის ცალკეული რაიონებისათვის;

2. ვენახების მოსავლიანობის გადიდება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება ვაზის მასობრივი სელექციის წარმოებით;

3. სტანდარტული ჯიშების არსებითი გამჯობესებით კლონური სელექციის წარმოებით და

4. მაღალი სამეურნეო ღირებულების ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა მეღვინეობის სხვადასხვა მიმართულებისა და სასუფრე ყურძნისათვის.

I. ვაზის ჯიშების შერჩევა მევენახეობის რაციონებისათვის

მევენახეობის რაციონალურად წარმოება მოითხოვს ვენახების რენტაბელობის გადიდებასთან ერთად მევენახეობის რაციონებისათვის ისტორიულად მოპოვებული სახელის შენარჩუნება-ამაღლებას.

ამის მიღწევა, პირველ რიგში, შესაძლებელია სხვა აგროლონისძიებებთან ერთად ვაზის ჯიშების სწორი შერჩევით. ეს უკანასკნელი კი წყვეტს მთელი საქმის წარმატებას. ისტორიული სახელი მეღვინეობის ბევრს რაიონს ვაზის განსაზღვრულმა ჯიშებმა გაუთქვეს. ამიტომ ხარისხოვანი მეღვინეობის რაიონებში დაბალხარისხოვანი ჯიშების ან პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდების გაშენება გამოიწვევს ამ რაიონების სახელისა და მაღალი რეპუტაციის დაცემას.

აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ვაზის ჯიშების სწორ შერჩევასა და შერჩეული ჯიშების წარმოებაში ფართოდ გავრცელებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.


მევენახეობის ისეთ ძველს ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ჯიშების შერჩევის მხრივ მდგომარეობა შედარებით უკეთესია. ხანგრძლივი ბუნებრივი შერჩევისა და მრავალი საუკუნოებრივი ხალხური სელექციის შედეგად ჩვენში უკვე შეირჩა და ჩამოყალიბდა მევენახეობის ცალკეული რაიონებისათვის უკეთ შეგუებული ჯიშების დიფერენცირებული სორტიმენტი—ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის ვაზის ჯიშების სა-

ხით. ვაზის ჯიშების საერთო რაოდენობა საქართველოში უკვე 500-ს სახელწოდებას აღწევს. ჯიშების ამ რაოდენობიდან ფართო სამრეწველო გავრცელება მოიპოვა დასავლეთში 50—60 ჯიშმა. დანარჩენი ჯიშები შედარებით უმცირესი გავრცელებული და გვხვდება ძირითადად მთავარ საწარმოო ჯიშის ვენახებში ნარევის სახით.

ვაზების შერჩევას ჩვენში ძველთაგანვე მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი ედო საფუძვლად. ყველა ის ჯიში, რომლებიც მაღალმოსავალთან ერთად კარგი ღირსების ღვინოს იძლეოდა, ფართოდ ვრცელდებოდა წარმოებაში. მცირემოსავლიანი და მაღალხარისხოვანი და, შებრუნებით, მაღალმოსავლიანი და დაბალხარისხოვანი ჯიშები ნაკლებადაა გავრცელებული და ხშირად დამატებითი ჯიშების სახითაა შესახვედრი ძირითადად საწარმოო ვენახებში. ძველად არსებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად ვაზის საწარმოო ჯიშები ცუდად არ იყო შერჩეული. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ. წარმოებაში გასავრცელებელი ვაზის ჯიშებს, მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის გარდა, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობის, საძირებთან მონათესაობისა და გასხვლა-ფორმირების ახალ წესებთან შეგუების მოთხოვნილება დაემატა.

ნამყენი ვაზების ვენახებისათვის პლანტაჟის აუცილებლობამ და მისი მექანიზებული წესით მთის ფერდობებზე შესრულების სიძნელეებმა გამოიწვიეს ახალი ვენახების ძირს, ვაკე ადგილებში გადანაცვლება. აღნიშნულის გამო ბევრი ისტორიულად ცნობილი ვაზის ჯიში სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ სუსტი გამძლეობის ან ახალ ფორმირებასთან ცუდი შეგუების გამო ამოვარდა საწარმოო ვენახებიდან, ან ძალზე შემცირდა მათი გავრცელება. ასეთი ბედი ეწვია: მწვანეს, კრახუნას, ოჯალეშს, ჩხავერს, ხიხეს, უსახელოურს და სხვებს. ამ გარემოებას მთავრობამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და სპეციალური დადგენილებით დასახა ამ ჯიშების აღდგენა გავრცელება.

მეორე მხრივ, ზოგიერთი ჯიში მევენახეობის ისტორიკოსებთან კარგი შეფუების, მაღალი მოსავლიანობისა და ღვინის კარგი ღირსების მეოხებით სწრაფად გავრცელდა საქართველოში. ასეთი თვისებები აღმოაჩნდა რქაწითელსა და ცოცხალწითელს (სურ. 1 და 2). პირველი გავრცელებულია საქარ-



სურ. 1. რქაწითელი

თველოს აღმოსავლეთ ნაწილში; და უჭირავს 14.7 ათასი ჰექტარი, ხოლო მეორე გაადგილებულია დასავლეთ ნაწილ-



ში—10.2 ათას ჰექტარ ფართობზე. ამ ორ ჯიშს, ერთად აღე-
 ბულს უჭირავს საქართველოს ვენახების ნახევარზე მეტი ფართობი.
 შამპანური მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით



სურ. 2. ცოლიკოური

ბით საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე ჯიშ ციცქას ფართობი
 —5.3 ათას ჰექტარამდე (სურ. 3). ამჟამად ამ სამ ჯიშს რქა-
 წითელს, ცოლიკოურს და ციცქას უჭირავს 30 ათასი ჰექ-
 ტარი, ანუ მთელი ფართობის 62%. ამავ დროს ვაზის და-

ნარჩენი 13 ძვირფასი ჯიში ძლიერ მცირედაა გავრცელებული. ასე მაგალითად, წითელი ღვინის საუკეთესო ჯიშის სადგურავი (სურ. 4) რომელიც ხასიათდება უხვი მოსავლიანობით.



სურ. 3. ციცა

ღვინის მაღალი ღირსებით, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კარგი გამძლეობით გავრცელებულია მხოლოდ 2.2 ათას ჰექტარ ფართობზე. საფერავზე გაცილებით უფრო მცირედ (50-დან 500 ჰექტარამდე) გავრცელებულია ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიშები, როგორცაა: ოჯალეში, ალექსანდროული, კრახუნა, უსახელოური, ჩხავერი, მწვანე, ხიხვი და სხვა. აქვე აღსანიშ-

ნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ საშუალო ღირსებთან
 მაგრამ მაღალმოსავლიან ჯიშს, მაგალითად, დონდოლაბს
 ძველშავს და სხვებს უჭირავთ ათასამდე ჰექტარზე მეტი ფართობი.



სურ. 4. საფერავი

ხოლო დაბალხარისხოვან ჯიშებსა და პირდაპირმწარმოებელ
 ჰიბრიდებს—სულ 12 ათასამდე ჰექტარი. ვაზის ჯიშების მე-
 ურნეობაში აღნიშნული არანორმალური მდგომარეობა მო-
 ითხოვს გამოსწორებას. ამისათვის საჭიროა ზუსტად დავიც-
 ვათ მთავრობის მიერ [დამტკიცებული სორტიმენტი და მას-

ში გათვალისწინებული ჯიშების ცალკეული რაიონების მიხედვით სწორი გაადგილება.



საქართველოს ვაზის ჯიშების სტანდარტული მენტში შეტანილია 13 ადგილობრივი და 3 უცხოური ვაზის ჯიში, სახელდობრ: რქაწითელი, ცოლიკოური, ციცქა, საფერავი, ჩინური, გორული მწვანე, ოჯალეში, ჩხავერი, ალექსანდროული, მწვანე, უსახელოური, კრახუნა, ხიხვი და კაბერხე, ალიგოტე, პინო შავი. ამათ გარდა, სტანდარტულ სორტიმენტში გათვალისწინებულია რამდენიმე სასუფრე ყურძნის ჯიში. აღნიშნული ჯიშების ცალკეული რაიონების მიხედვით განლაგება მოცემულია ქვემოთ.

ვაზის სტანდარტული ჯიშების დასახელებული გადაადგილება ცალკეული რაიონების მიხედვით არ არის უნაკლო. სორტიმენტიდან გამორჩენილია ზოგიერთი პერსპექტული ჯიში, სახელდობრ: თეთრი კაპისტონი, ოცხანური საფერე, წულუკიდის თეთრა, ავასირხვა, კაჭიჭი და სხვ. სორტიმენტი არ ითვალისწინებს თუ რა ფართობი უნდა ეჭიროს მეღვინეობის ძირითადი მიმართულებისათვის (შამპანური, სუფრის, ნახევრად ტკბილი, სადესერტო და საკონიაკე ღვინის) განკუთვნილ ჯიშებს ვენახების მთლიან ფართობთან შეფარდებით, აგრეთვე რა სიდიდის ფართობი უნდა ეჭიროს, მაგალითად, შამპანური ღვინის ვაზის ჯიშებს ყველას ერთად და თითოეულს ცალკე-ცალკე სასუფრე ღვინის ვაზის ჯიშებთან შედარებით, ან როგორი შეფარდება უნდა იყოს თეთრი და წითელი სასუფრე ღვინის ჯიშებს შორის. ხშირად ეს გარემოება უგულვებელყოფილია. მაგალითად კახეთის ვენახების მთელი ფართობის 77,4% მარტო ერთი თეთრყურძნიან ჯიშ რქაწითელს უჭირავს, მაშინ როდესაც წითელყურძნიან საფერავს—მხოლოდ 11 პროცენტი, რაც, რა თქმა უნდა, არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ საფერავის წითელი ღვინო შეუდარებლად მაღალი ღირსებისაა არა მარტო კახეთში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც.

ვენახის ახალი ფართობის ათვისება უნდა იგეგმებოდეს, მეღვინეობის ძირითადი მიმართულებისა და სუფრის ყურძნი-

საქართველოს სარაიონო სტანდარტული სორტიმენტის ვაზის ჯიშების
გაადგილება ცალკეული რაიონების მიხედვით

№ რიგ.	მეცნიერების რაიონების დასახელება	რაიონის ძირითადი მიმართულება	ვაზის სტანდარტული ჯიშები
1	კახეთი (შიგნით და გარე კახეთი)	სუფრის, საღესურტო, ბუნებრივად ხაზვრად ტკბილი და საკონიაკე ღვინოების წარმოება	რქაწითელი, საფერავი, მწვანე, კაბერნე, ხიხვი
2	ქართლი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (მესხეთი, შუა და ქვემო ქართლი, სამხ- რეთ ოსეთი)	შამპანურის, სუფრის და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და ცქრიალა ღვი- ნოების წარმოება	პინო შავი, ალიგოტე ჩინური, გორული მწვანე, რქაწითელი, საფერავი, ხიხვი
3	იმერეთი	შამპანურის, სუფრის, საღესურტო და საკონიაკე ღვინოების წარმოება	პინო შავი, ალიგოტე, ციცქა, გორული მწვანე, ცოლიკაური, კრაზუნა, საფერავი
4	რაჭა-ლეჩხუმი	სუფრისა და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოება	ალექსანდროპოლი უსახელოური, საფერავი, გორული მწვანე, ცოლიკაური
5	ზღვის პირა რაიონები (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი)	სუფრის, ბუნებრივად ნახევრად ტკბი- ლი და ცქრიალა ღვინოების და სა- კონიაკე ღვინო-მასალების წარმოება	ცოლიკაური, ოჯღეშვილი, ჩხავი- რი, ალიგოტე



სათვის განკუთვნილი ჯიშების შერჩევის და მათ მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. ვენახების დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ზედააღმართული ბუნებრივი პირობების უკეთ გამოყენებას, საქართველოს კალთური ღვინოების პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ვენახების მოსავლიანობის გადიდებას და ჩვენი მეურნეობების შემოსავლიანობის ამაღლებას.

II. ვაზის მასობრივი ხელშეწყობა

ვაზის მასობრივი ხელშეწყობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა ვენახის მოსავლიანობის გადიდებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, ჯიშის სიწმინდის აღდგენისა და ახალი ვენახებისათვის ხელშეწყობითი საკვირტე მასალის დამზადების უზრუნველსაყოფად. ამ ღონისძიების საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ თითქმის ყველა ჯიშის ვენახში მოსავლიან ვაზებთან (სურ. 5) ერთად საკმაოდ რაოდენ-



სურ. 5

ნობით გვხვდება სრულიად უმოსავლო, მცირემოსავლიანი
(სურ. 6) მეჩხერმტეენიანი და სხვა არასასურველი ჯიშის ნარევი
ვაზები, რომლებიც საგრძნობლად ამცირებენ ვენახის საერ-
ბიზნის მოსავლას



სურ. 6

თო მოსავალს და აუარესებენ მისი პროდუქციის ხარისხს, რადგან მათგან აჭრილი რქები ისევ უმოსავლო და მცირე მოსავლიან თაობას იძლევა. როგორც ჩვენში, ისე ჩინეთში რესპუბლიკებში მევენახეობის საცდელ დაწესებულებებში წარმოებული მუშაობის შედეგად გამოიჩინა, რომ ვენახებში ეს უმოსავლო და მცირემოსავლიანი ვაზები საკმაოდ დიდ პროცენტს (ზოგან 15—25 %)-ს აღწევს, რითაც საგრძნობლად ამცირებს ვენახების მოსავლიანობას. ამ უმოსავლო და მცირე მოსავლიანი ვაზების ასეთი დიდი რაოდენობა ვენახში გამოწვეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ვაზი თავდაპირველად წიპწიდან წარმოიშვა, შემდეგ საუკუნეების მანძილზე ვეგეტატიურად მრავლდებოდა, რომლის შედეგად მისი ჯიშები ძლიერ გამდიდრდა, ცვალებადი გარემო პირობების ზეგავლენით წარმოქმნილი სხვადასხვა სამეურნეო ღირებულების მქონე მოდგმებით (კლონებით) და, მეორე მხრივ, იმითაც, რომ წინათ ვენახების გასაშენებლად მომეტებულ შემთხვევაში არ აწარმოებდნენ ვაზების შერჩევას სარგავი მასალის დასამზადებლად. ყოველივე ამის შედეგად ჩვენი ვენახები ძლიერ გამდიდრდა უმოსავლო, მცირემოსავლიანი და სხვა არასასურველი ჯიშების ნარევი ვაზებით, რის გამო აუცილებელი შეიქმნა თითქმის ყველა ვენახში აპრობაციისა და ვაზის მასობრივი სელექციის წარმოება.

1. ვენახების აპრობაციის მიზანი და ამოცანები

აპრობაცია უცხო სიტყვაა, იგი ნიშნავს დადგენას. აპრობაცია მიზნად ისახავს ჯიშის გამოცნობას და ვენახის სიწმინდის განსაზღვრას. ვენახების აპრობაცია მუდამ წინ უნდა უსწრებდეს ვაზის მასობრივი სელექციის წარმოებას, რადგან მხოლოდ მისი საშუალებითაა შესაძლებელი ვენახების სწორი შერჩევა და მათი ვარგისიანობის განსაზღვრა სელექციის საწარმოებლად.

ვენახების აპრობაციის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

ა. ჯიშის სახელწოდების სისწორის გამოცნობა-დადგენა და ვენახის ჯიშობრივი სიწმინდის განსაზღვრა;

ბ. ვენახის საერთო მდგომარეობის შეფასება — მაღალ-
მოსავლიანი, ზრდის საშუალო ღონის, ავადმყოფობისა და
მავნებლებისაგან თავისუფალი და კარგად მოვლილ და მუშაობაში
ბული ვენახების შესარჩევად;

გ. იშვიათად გავრცელებული ვაზის ძვირფასი ჯიშების
ნარგავებისა და ცალკეული ძირების გამოვლინება და აღ-
რიცხვაზე აყვანა (რეგისტრირება) სადღედე ვენახების გასაშე-
ნებლად.

კ 66.061
3.06

აპრობაცია პირველ რიგში უნდა წარმოებდეს სტან-
დარტული ვაზის ჯიშების მაღალმოსავლიანი ვენახების გა-
მოსავლინებლად, სადაც სხვა ჯიშის მინარევი ვაზები ან სულ
არ არის, ან ძლიერ მცირეაა წარმოდგენილი, შემდეგ კი
ყველა დანარჩენ სასელექციოდ ვარგისი ვენახისა.

ვენახების აპრობაცია იწყება მაშინ, როცა ვაზის მთა-
ვარი ნაწილების — ყლორტის, ფოთლის, მტევნისა და მარცვ-
ლის — მორფოლოგიური ნიშნები მკაფიოდ არის გამოსახული,
ხოლო მთავრდება არა უგვიანეს 15—20 დღისა რთვლის
დაწყებამდე, რათა მოესწროს დარჩენილ ვადაში მასობრივი
სელექციის ჩატარება ვენახში. ახალშენი ვენახების, სანერგე-
ებისა და ფილქსერაგამძლე საძირე ვაზის სადღედეების აპრო-
ბაცია უნდა ჩატარდეს იმ ვადებში, როცა ახალგაზრდა
ყლორტისა და ფოთლების ნიშნების მიხედვით შესაძლებელი
იქნება ჯიშის უკეთ გამოცნობა. ვენახების აპრობაციის დროს
მთავარი ყურადღება ექცევა შემდეგ მაჩვენებლებს:

ა. ჯიშის სახელწოდების სისწორეს და მის სტანდარ-
ტულობას;

ბ. ვენახის ჯიშობრივ სიწმინდეს;

გ. ვენახის მოსავლიანობას და მის საერთო მდგომარეობას.

ჯიშის სახელწოდების სწორი დადგენა აპრობატორის
ძირითად მოვალეობას შეადგენს. ყოველ ცალკეულ შემთხვე-
ვაში აპრობატორი უნდა მტკიცედ იყოს დარწმუნებული,
რომ ჯიში ნამდვილად შეესატყვისება მის სახელწოდებას.
ჯიშის სწორი სახელწოდების განსასაზღვრად აპრობატორი



კარგად უნდა იცნობდეს რაიონში გავრცელებული ჯიშების დამახასიათებელ თვისებებს: ა) მტევნის სიდიდეს, მის ფორმას, სიმკვრივეს; ბ) მარცვლის სიმსხოს, მის ფორმას, სიმკვრივეს; გ) ფოთლის შებუსუსებას, მის ფორმას, სიმკვრივეს; დ) წიპწის სიდიდეს და ფორმას; ე) ყლორტის შეფერვას და სხვ.

აღნიშნულის გარდა, აპრობატორი აგროვებს ცნობებს ყვავილის ტიპის, სიმწიფის პერიოდისა და ჯიშისათვის სხვა დამახასიათებელი თვისებების (ყვავილცვენის) შესახებ—ჯიშის შეუცდომლად გამოცნობის მიზნით.

ჯიშის ფართოდ გავრცელებული სახელწოდების გარდა, მოყვანილი უნდა იყოს აგრეთვე ადგილობრივი სახელწოდებებიც (სინონიმები) რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ჯიშის სწორი სახელწოდების დადგენისათვის. მაგალითად, ჯიში გორული მწვანე ზემო იმერეთში ცნობილია ქვიშხურის, ხოლო ატენის ხეობაში თეთრფოთოლას სახელწოდებით, უკანასკნელი ორი სახელწოდება ამ ჯიშის სინონიმია. ჯიში ციციქა ცნობილია აგრეთვე შანთის სახელწოდებითაც.

ჯიშის სწორი გამოცნობისა და ვენახების ჯიშობრივი სიწმინდის განსაზღვრასთან ერთად უნდა წარმოებდეს ვენახების საერთო მდგომარეობის შეფასება, რომლის შედეგად გამოვლინდება სამი შემდეგი კატეგორიის (ჯგუფის) ვენახი:

პირველი კატეგორიის, რომელსაც მიეკუთვნება სტანდარტული ჯიშის შედარებით წმინდა ვენახები, სადაც სხვა ჯიშის ნარევი ვაზები 10%-ს არ აღემატება და მასთან ისინი მაღალი მოსავლიანობით, ნორმალური ზრდის ღონითა და სიჯანსაღით ხასიათდებიან. ასეთი ნარგავები ნარევისა და უმოსავლო ძირების მოსავლიანი ვაზებით შეცვლის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც პირველადი შერჩევის სადღედე ვენახი.

მეორე კატეგორიის, რომელსაც მიეკუთვნება სტანდარტული ჯიშის შედარებით წმინდა ვენახები, სადაც სხვა



ჯიშის ნარევი ვაზები 25%-ს არ აღემატება და რომლებიც კარგი ან დამაკმაყოფილებელი მოსავლიანობითა და ზრდის ღონით ხასიათდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორმა 1

ვენახების აპრობაციის

აქტი

195 წლის თვის რიცხვში კომისიამ რაიონის სოფ. საბჭოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის უბნის აგრონომის და მევენახე ბრიგადირის შემადგენლობით შევადგინეთ ეს აქტი შემდეგზე:

. კოლმეურნეობაში, ადგილზე შემოწმებისა და სათანადო აღრიცხვების შედეგად გამოავლინა კოლმეურნეობის ვენახის ფართობიდან მასობრივი სელექციის ჩასატარებლად კატეგორიის ვენახი გაშენებული ჯიშ ზომით ჰექტარი. ვენახი მდებარეობს უბანში სახელწოდებით. რიგების თვლა იწყება მხრიდან, ვაზებისა მხრიდან, უკანასკნელი წლების მოსავალი ცენტნერობით ვაზების ზრდის დონე და სიჯანსაღე

ვენახში ჯიშობრივი სიწმინდე უდრის % დანარჩენი შედგება შემდეგი ჯიშების ნარევისაგან

ვენახი გაშენებულია 195 წელს [დამყნილია საძირებზე მოვლილია სარწყავია თუ უარყოფითა აპრობირებულ ვენახს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოვლა-პატრონობის მხრივ, ვინაიდან იგი განკუთვნილია გაუმჯობესებული საკვირტე მასალის ასაჭრელად და ახალი ვენახების გასაშენებლად.

აქტს ხელს ვაწერთ:

1. კოლმეურნეობის თავმჯდომარე
2. უბნის აგრონომი
3. მევენახე ბრიგადირი

მესამე კატეგორიის, რომელსაც მიეკუთვნება ყველა დანარჩენი ვენახი, სადაც ნარევი ვაზები 25%-ს აღემატება და ნარგავები საშუალო ან მასზე დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება. სასელექციოდ გამოყოფილ ვენახებზე



დგება აპრობაციის აქტი (ფორმა 1). მასობრივი სელექციის ამოცანების შესაბამისად წარმოებს აღნიშნულ საკვირტე ვენახების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებას.

2. ვაზის მასობრივი სელექციის ამოცანები და მეთოდები

მასობრივი სელექცია მიზნად ისახავს ორი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას:

ა. სტანდარტული ჯიშის წინასწარშერჩეული მაღალმოსავლიანი ვაზებიდან სარგავი მასალის დამზადებას სელექციური სადედეებისა და ხარისხოვანი სამრეწველო ვენახების გასაშენებლად.

ბ. არსებული ვენახების მოსავლიანობის გადიდება უმოსავლო და მცირემოსავლიანი ძირების მაღალმოსავლიანი ვაზებით შეცვლის გზით.

აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად ყველა ვენახი არ გამოდგება. მასობრივი სელექციის საწარმოებლად სხვადასხვა ვენახები უნდა შეირჩეს. ასე მაგალითად, სელექციური სადედეებისა და ხარისხოვანი სამრეწველო ვენახების გაშენებისათვის საკვირტე მასალის დასამზადებლად — უნდა შეირჩეს პირველი კატეგორიის წინასწარ აპრობირებული სტანდარტული ჯიშის შედარებით წმინდა ვენახები, სადაც სხვა ჯიშის ნარევი ვაზები 10%-ს არ აღემატება. იმ შემთხვევაში, როცა პირველი კატეგორიის ვენახები ვერ აკმაყოფილებს გეგმით გათვალისწინებული საკვირტე მასალის მოთხოვნას, უკანასკნელი მზადდება აგრეთვე მეორე კატეგორიის ნაკლები სიწმინდის ვენახებში, გამონაკლისს შემთხვევებში საკვირტე მასალის დამზადება დასაშვებია მესამე კატეგორიის ვენახებშიაც. სასელექციოდ შერჩეული ვენახი უნდა იყოს კარგი მოვლილი, ხასიათდებოდეს მაღალი მოსავლიანობით და ნორმალური ზრდის ღონით. ძლიერ ნარევი, ცუდად მოვლილი, სუსტი ზრდისა აგრეთვე არასტანდარტული ჯიშით გაშენებული ვენახები საკვირტე მასალის დასამზადებლად არ უნდა შეირჩეს.



მეორე ამოცანის გადასაწყვეტად, სახელდობრ არსებული ვენახების მოსავლიანობის გასადიდებლად, გამოსადეგია ყველა კატეგორიის ვენახი, იმისდა მიუხედავად, ვინაობა წმინდა იქნება იგი თუ ნარევი. მოსავლიანობის მიზნით ყველა ვენახში უნდა შეიჩრჩეს და მკვიდრად აღინიშნოს ყველა უმოსავლო და ძლიერ მცირე მოსავლიანი ვაზები და შეიცვალოს იგი კარგად მსხმოიარე ვაზებით. აღნიშნული ამოცანების შესაბამისად ვაზის სელექცია ვენახში ორი მეთოდით წარმოებს:

ა. ვაზების შერჩევით უარყოფითი ნიშანთვისებების მიხედვით;

ბ. ვაზების შერჩევით დადებითი ნიშანთვისებების მიხედვით.

ეს ორი მეთოდი ურთიერთისაგან განსხვავდება მხოლოდ მუშაობის შესრულების ტექნიკით.

იმისდა მიხედვით, თუ რა სიწმინდისაა სასელექციოდ შერჩეული ვენახი და რა სახის—დადებითი თუ უარყოფითი ნიშანთვისებებიანი—ვაზები ჭარბობენ ვენახში, მინართავენ ხან ერთ ხან მეორე წესს.

ასე მაგალითად, სტანდარტული ჯიშის პირველი კატეგორიის მაღალმოსავლიან შედარებით წმინდა ვენახებში, სადაც ნარევი და უმოსავლო ვაზები მცირე რაოდენობით გვხვდება, დროისა და აღსანიშნავი მასალის ეკონომიის მიზნით ვაზების შერჩევა უმჯობესია ვაწარმოთ ნარევისა და უარყოფითი ნიშანთვისებიანი ვაზების აღნიშვნით. სტანდარტული ჯიშის მეორე კატეგორიის ვენახებში, სადაც ნარევი და უარყოფითი თვისებებიან (უმოსავლო და მცირემოსავლიანი) ვაზები ჭარბობენ,—მოსავლიანი ვაზების შერჩევა უმჯობესია ვაწარმოთ დადებითი ნიშანთვისებიანი ვაზების აღნიშვნით. არასტანდარტული ჯიშის მესამე კატეგორიის ძლიერ ნარევ ვენახებში საკვირტე მასალის დამზადება არ წარმოებს. ასეთი ვენახების მოსავლიანობის გასადიდებლად აღნიშნავენ უარყოფით თვისებებიან ვაზებს მათი მოსავლიანი ვაზებით შესაცვლელად.

ვაზების შერჩევა ერთსა და იმავე ვენახში სამი წლის განმავლობაში უნდა წარმოებდეს შემდეგი სქემის მიხედვით:

პირველი წელი. პირველი კატეგორიის ვენახში ბირებულ სტანდარტული ჯიშის შედარებით ვაზების შერჩევა წარმოებს უარყოფითი ნიშანთვისებების მიხედვით, რომლის შემდეგ ვენახში იქნება შერჩეული და სხვადასხვაგვარად აღნიშნული ვაზების სამი ჯგუფი: 1. მოუსავლიანი და მცირემოსავლიანი ვაზები; 2. სხვა ჯიშის გამორეული ვაზები; 3. აღუნიშნავი მოსავლიანი ვაზები.

ვენახში გამორეული სხვა ჯიშის ნარევი ვაზების მიმართ შემდეგნაირად უნდა მოვიქცეთ. იმ შემთხვევაშიც, როცა სტანდარტული ჯიშის ვენახში გამორეულია იმავე შეფერვის სხვა სტანდარტული ჯიშის ვაზები, მაგალითად, რქაწითლის ვენახში მწვანის ან ხიხეის ვაზები, ცოლიკოურის ვენახში ციციქის, კრახუნას, ხოლო საფერავის ვენახში, ვთქვათ, კაბერნეს ან მალბეკის ვაზები, რომლებიც კი არ აუარესებენ, არამედ აუმჯობესებენ ძირითადი ჯიშიდან მიღებული ღვინის ხარისხს—მათი ამოძირკვა მიზანშეუწონელია, ისინი დატოვებული უნდა იქნეს ვენახში. სხვა შემთხვევაში, როცა სტანდარტული ჯიშის ვენახში გვხვდება სხვა შეფერვის არასასურველი ნარევი, თუნდაც სტანდარტული ჯიშისა, მაგალითად, რქაწითლის ან მწვანის ვენახში საფერავის, კაბერნეს ან სხვა წითელყურძნიანი ჯიშის ვაზები, თუ ისინი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, პირველ წელსვე, —როცა ნარევი აღწევს 8—10%-მდე—იგი თანდათანობით უნდა გაიჯაგოს და ვენახი შეივსოს გადამყნობით ან გადაწვევით წმინდა ჯიშის მოსავლიანი ვაზებით. თუ ნარევი ძლიერ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, იგი არ უნდა გაიჯაგოს და მათი მოსავალი ცალკე უნდა დაიკრიფოს დასაწურად.

უარყოფითი ნიშანთვისებათა მქონე ვაზები წინასწარ, საკვირტე მასალის აღებაამდე უნდა გაისხლას და ანასხლავი გამოიხილოს ვენახიდან. ამის შემდეგ გაისხვლება აღუნიშნავი მოსავლიანი ვაზები. ახალი ვენახები მხოლოდ დადებითი თვისებების მქონე აღუნიშნავი ვაზებიდან აღებული საკვირტე მასა-

ლიდან მიღებული ნამყენებით უნდა გაშენდეს და აღირიცხოს, როგორც პირველადი შერჩევის სადედე ვენახები.

მეორე წელი. გრძელდება დაწყებული მუშაობა და მოწყობა პირველ წელს მიღებული შედეგები. ყველა ის მოუსაგლიანი და მცირემოსავლიანი ვაზი, რომელმაც პირველსა და მეორე წელს ერთი ან ორი უარყოფითი ნიშანი მიიღო, უვარგისია საკვირტე მასალის დასამზადებლად. ეს ვაზები წინასწარ უნდა გაისხლას და ანასხლავი ვენახიდან გადატანილ იქნეს. მათთან ერთად დანიშნული მცირე რაოდენობის არასასურველი ნარევი (მაგ., თეთრ ჯიშებში წითელი ჯიშები) პირველ წელსვე უნდა შეიცვალოს სტანდარტული ჯიშის მოსავლიანი ვაზებით.

მხოლოდ აღუნიშნავი დადებითი ნიშანთვისების მქონე ვაზებიდან უნდა აიჭრას საკვირტე მასალა ახალი ვენახების გასაშენებლად. ამ მასალიდან მიღებული ნამყენებით გაშენებული ახალი ვენახები უნდა აღირიცხოს, როგორც მეორადი შერჩევის სელექციური ნაკვეთი.

მესამე წელი. გრძელდება მუშაობა და ხდება საბოლოო შემოწმება ნაკვეთზე წარმოებული მუშაობისა. შემოწმების შედეგად მესამე წლის ბოლოს ვენახში იქნება ვაზების შემდეგი ოთხი ჯგუფი:

1. ვაზები სამი უარყოფითი ნიშნით; 2.—ორი უარყოფითი ნიშნით; 3.—ერთი უარყოფითი ნიშნით; და 4.—აღუნიშნავი დადებითი ნიშანთვისებებით, რომლებსაც სამი წლის განმავლობაში არც ერთი უარყოფითი ნიშანი არ მიუღიათ.

პირველი ჯგუფის, ე. ი. სამი უარყოფითი ნიშნიანი ვაზები უნდა ამოიძირკოს და ვენახი შეივსოს მეზობელი მოსავლიანი ვაზების გადაწიდნვით ან მოუსაგლიან ვაზებზე უხვმოსავლიანი ვაზების დამყნობით, ანდა მეზობელ ვაზიდან მხარის გაგრძელებით.

მეორე და მესამე ჯგუფის ვაზებიდან საკვირტე მასალა არ იჭრება. ეს ვაზი წინასწარ უნდა გაისხლას და ანასხლავი გადატანილ იქნეს ვენახიდან.

მხოლოდ მეოთხე ჯგუფის, ე. ი. ალუნიშნავი, დადებითი ნიშანთვისებების მქონე ვაზები წარმოადგენენ ძვირფას საკვირტე მასალას ახალი ვენახების გასაშენებლად. ვაზებიდან აღებული საკვირტე მასალით გაშენებული ვენახები რეგისტრირებული უნდა იქნეს, როგორც სელექციური სადღე ნაკვეთები.

მეორე კატეგორიის სტანდარტული ჯიშის ვენახებში, სადაც სხვა ჯიშის გამორეული ვაზების რაოდენობა აღწევს 25 %-ს, ვაზების შერჩევას აწარმოებენ დადებითი ნიშანთვისებების მიხედვით. პირველ წელს ვენახში აღნიშნავენ სტანდარტული ჯიშის ჯანსაღ, ნორმალური ზრდის ვაზებს, რომელთა მოსავალი საშუალოს აღემატება, და შეაბამენ მათ ნიშანს და შეიტანენ საველე დავთარში. მეორე და მესამე წელს იმავე წესით აგრძელებენ ვაზების აღნიშვნას.

სამი წლის აღრიცხვის შედეგად ვენახში გამოვლინდება ვაზების ოთხი ჯგუფი: ა) ვაზები სამი დადებითი ნიშნით, ბ) — ორ დადებითი ნიშნით გ) — ერთ დადებითი ნიშნით და დ) — ალუნიშნავი ვაზები. ამათგან ვაზები, რომელთაც სამი წლის მანძილზე სამი დადებითი ნიშანი მიიღეს, წარმოადგენენ ძვირფას მასალას ახალი ხარისხოვანი ვენახების გასაშენებლად. ამ ვაზებიდან აჭრილი საკვირტე მასალით გაშენებული ნაკვეთები უნდა აღრიცხოს, როგორც სელექციური სადღე ვენახები. ორ დადებითნიშნის ვაზებიდან აჭრილი რქები გამოიყენება საწარმოო ვენახების გასაშენებლად, ხოლო ერთდადებითნიშნის და ალუნიშნავ ვაზებიდან საკვირტე მასალა არ მზადდება. რქების დამზადების უფრო დეტალური წესები მოცემულია თანდართულ სქემაში.

იმ შემთხვევაში, როცა პირველი კატეგორიის სტანდარტული ჯიშის ვენახი თავიდანვე შედარებით წმინდა ნარგავი იყო და სამი წლის მუშაობის შემდეგ მთლიანად გათავისუფლდა ნარევი ჯიშებისაგან, უარყოფითი თვისებების მქონე ვაზებისაგან და შეივსო მოსავლიანი ვაზებით, თამამად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს, როგორც პირველადი შერჩევის სელექციური ნაკვეთი. ასეთი ნაკვეთე-

შესებო

საკვირტე მასალის (რქების) დამზადებისა სელექციის წარმოებისა ვენახში (სქემა)

გაზების შერჩევა მასალის (რქების) დამზადებისა სელექციის წარმოებისა ვენახში (სქემა)		გაზების შერჩევა დადებითი ნიშანთვისებების მიხედვით	
შერჩევის წარმოების წელი	აღნიშვნების (ფორფიტების) რაოდენობა	რქების გამოყენება	შერჩევის წარმოების წელი
1-წელი	1-ფორფიტია უფორფიტო	რქები არ მზადდება	1-ფორფიტია უფორფიტო
2 წელი	2-ფორფიტია 1-ფორფიტია უფორფიტო	რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად რქები არ მზადდება რქები არ მზადდება რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად	2-ფორფიტია 1-ფორფიტია უფორფიტო
3 წელი	1-ფორფიტია უფორფიტო	რქები არ მზადდება რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად	3-ფორფიტია 2-ფორფიტია 1-ფორფიტია

რქების გამოყენება

რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად
რქები არ მზადდება
რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად
რქები არ მზადდება
რქები არ მზადდება
რქები მზადდება სასელექციო სადენების გასაშენებლად
რქები მზადდება საწარმოო ვენახების გასაშენებლად
რქები არ მზადდება
რქები არ მზადდება



ბის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათგან რე-
გისტრირების პირველი წლიდანვე შეიძლება აღებული იქნეს
გაუმჯობესებული საკვირტე მასალა ახალი ვენახის გასაშუ-
ნებლად.

ვენახის სეტყვის ან ყინვისაგან დაზიანების შემთხვევაში
უფრო საიმედო მონაცემების მისაღებად ნუშაობა სასელექ-
ციო ნაკვეთებზე გრძელდება მომდევნო მეოთხე და მეხუთე
წელსაც.

ამრიგად, წარმოებული სასელექციო მუშაობის შედე-
გად ჩვენ გვექნება გაშენებული:

ა. პირველადი და მეორადი შერჩევის სელექციური ვე-
ნახები, გაშენებული დადებით ნიშანთვისებათა მქონე ვაზე-
ბით, რომლებიც შერჩეული იყო შესაბამისად ერთი ან ორი
წლის დაკვირვების საფუძველზე;

ბ. სელექციური სადღე ვენახები, გაშენებული სამი
წლის დაკვირვების შედეგად გამოვლინებული სამი დადებითი
ნიშანთვისების მქონე ვაზებიდან აღებული საკვირტე მა-
სალით.

3. მასობრივი სელექციის წარმოებისა და შედეგების აღრიცხვის წესები

მასობრივი სელექციის წარმოების დროს მთავარი მნიშვ-
ნელობა აქვს მუშაობისა და აღრიცხვის შემდეგ სამ ძირი-
თად წესს:

ა. ვაზების შერჩევის,

ბ. ვაზების აღნიშვნისა და

გ. ვაზების დავთარში შეტანისა და აღრიცხვის წესებს.

ა. ვაზების შერჩევის წესი. ვენახში ვაზების შერჩევა
იწყება პირველ რიგში სიმწიფის საადრეო ვაზის ჯიშებიდან,
დაახლოებით 2—3 კვირით ადრე რთვლის დაწყებამდე, ეს
ვადა აადვილებს ვაზების მოსავლიანობისა და სხვა სამეურ-
ნეო თვისებების სწორ შეფასებასა და გამორეული სხვა ჯი-

შის ვაზების უკეთ გამოცნობას. ვაზების შერჩევა უნდა და-
თავრდეს ერთი კვირით ადრე რთელის დაწყებამდე.

ვაზების შერჩევა არ მოითხოვს ბევრ დროს და ხარჯს,
მის საწარმოებლად ერთ ჰექტარზე საკმარისია 3-4 წუთი მუშა-
ვით.

მევენახე აგრონომი ერთი აგროტექნიკოსის ან მუშის
დახმარებით გულდასმით გამოავლენს მწკრივების მიხედვით
ვაზებს და შეაქვს სასელექციო ჟურნალში, ხოლო დამხმარე
აგრონომის მითითებით შეაბამს შესაფერ ნიშანს. პირველი
კატეგორიის სტანდარტული ჯიშის მაღალმოსავლიანი შედა-
რებით წმინდა ჯიშის ვენახში აღინიშნება და ნიშანი შეემა-
მება უარყოფითი თვისებების მქონე ყველა ვაზს, სახელ-
დობრ: ა) სრულიად მოუსავლიანსა და მცირემოსავლიანს,
რომლის მოსავალი არ აღემატება 2—3 კუფხლისოდენა მტე-
ვენს; ბ) ცრუყვავილა ვაზებს, რომლებიც დაყვავილების შემ-
დეგ იძლევა თხელსა და ძლიერ მეჩხერ მტევნებს; გ) უხეირო
სხვლისაგან, სეტყვისა და ავადმყოფობისაგან დასახიჩრე-
ბულ მცირემოსავლიან ვაზებს, რომელთა გამოსწორება უიმე-
ლოა და დ) ვენახში გამორეულ არასასურველ სხვა რომელი-
მე ჯიშის ნარევე ვაზებს.

მეორე კატეგორიის ნარევე ვენახებში აღინიშნება მხო-
ლოდ დადებით თვისებათა მქონე ვაზები, სახელდობრ: უხე-
მოსავლიანი და ჯანსაღი ვაზები, რომლებიც ყოველწლიურად
იძლევა შედარებით უხე მოსავალს. ასეთი ვაზები უნდა ხასი-
ათდებოდეს ნორმალური ზრდით, თავისუფალი იყოს ავადმ-
ყოფობისაგან და იძლეოდეს ნორმალურად განვითარებულ,
ჯიშისათვის დამახასიათებელ მტევნებს.

ბ. ვაზების აღნიშვნის წესი. ვაზების აღსანიშნავად
შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ფორმის თუთი-
ანადები რკინის ან თუნუქის ფირფიტები ზომით 6×6 სმ.
გამოსადეგია აგრეთვე 4×10 სმ ზომის განსხვავებული ფორ-
მის ხის ფირფიტები, სხვადასხვა ფერის ზეთის საღებავი
და სხვა. საერთოდ ყველა ის მასალა, რომელიც აადვილებს
შერჩეული ვაზების მკვიდრად აღნიშვნას და შემდეგ მათი
ადვილად მოძებნას, დასაშვებია ხმარებისათვის.



მაგრამ, მუშაობის გამარტივებისა და გაადვილების მიზნით უმჯობესია შემოღებულ იქნეს მთელ მეურნეობებში ალნიშვნის ერთნაირი წესი, სახელდობრ: განსხვავებული ნიშანთვისებებიანი (დადებითი და უარყოფითი) ვაზის ალინიშნოს სხვადასხვა ფორმის ფირფიტით ან განსხვავებული ფერის საღებავით. ასე მაგალითად, დადებითი, უარყოფითი ნიშანთვისებებისა და სხვა ჯიშის ნარევი ვაზებს უნდა შეეზღოს განსხვავებული ფორმის ფირფიტები ან გაესვას მკვეთრად განსხვავებული ფერის საღებავი მათი ურთიერთისაგან უკეთ განსხვავების მიზნით. ნიშნები ებმება ვაზს რბილი მავთულით ტანის განსაზღვრულ ადგილას (უმჯობესია განტოტვის ადგილის ქვემოთ) ერთი მხრიდან, რომ უფრო გაადვილდეს ალნიშნული ვაზების მოძებნა. ზეთის საღებავი ვაზს უნდა გაესვას ტანზე ცალმხრიდან ძველი ქერქის აცლის შემდეგ.

გასულ წელს შებმულ ნიშანს არ ხსნიან ვაზს იმ შემთხვევაშიაც კი, როცა უარყოფითნიშნიანი ვაზი დადებით თვისებებს ან, პირიქით, დადებითთვისებებიანი ვაზი უარყოფით თვისებებს ამჟღავნებს. ეს წესი საშუალებას იძლევა ფირფიტების მოთვლის საშუალებით გავიგოთ სამი წლის მანძილზე თუ რამდენჯერ ხასიათდებოდა ესა თუ ის ვაზი დადებითი ან უარყოფითი თვისებებით.

გ. ვაზების დავთარში შეტანისა და აღრიცხვის წესები.
 ვაზების აღსანიშნავად და შედგეგების აღსარიცხავად საჭიროა, შემდეგი სამი დავთრის წარმოება:

1. ნაკვეთის სასელექციო ჟურნალის წარმოება ყოველწლიური ალნიშვნების ჩასაწერად;
 2. უბნის სასელექციო დავთრის, უბანში ჩატარებული მუშაობის ჩასაწერად;
 3. საჯამლო დავთრისა, მეურნეობაში წარმოებული მუშაობისა და მიღებული შედეგების შესაჯამებლად.
- ნაკვეთის სასელექციო ჟურნალი (ფორმა № 2) წარმოადგენს საერთო რვეულს, რომელშიც ნაკვეთების ან თარგების მიხედვით აღინიშნება ცალკეული ვაზის ნიშანთვისებები.



დავთარში აღნიშვნების წარმოება შეიძლება აგრეთვე პირობითი ნიშნებით, მაგალითად: დადებითი ვაზის ნიშნები პლუსით, უარყოფითი—მინუსით. დავთარში აღნიშვნების წარმოება დადებითი ნიშნებითა და უარყოფითი ნიშნებით—მინუსით. დავთარში აღნიშვნების წარმოება დადებითი ნიშნებითა და უარყოფითი ნიშნებით—მინუსით. დავთარში აღნიშვნების წარმოება დადებითი ნიშნებითა და უარყოფითი ნიშნებით—მინუსით.

სასელექციო ჟურნალის ჩანაწერები გადააქვთ უბნის დავთარში (ფორმა № 3), რომელშიც აღინიშნება შერჩეული ვაზების რაოდენობა ცალკეული ჯიშებისა და საწარმოო უბნების მიხედვით.

უბნის დავთარის ჩანაწერების საფუძველზე დგება საჯუშმოლო დავთარი მთელს მეურნეობაში წარმოებული სასელექციო მუშაობის აღრიცხვით (ფორმა № 4).

შენიშვნა: უმწკრივო ვენახებში დავთარის წარმოება სავალდებულო არ არის.

4. აპრობაციისა და მასობრივი სელექციის წარმოება ფილოქსერაგამძლე სადედეში, სანერგეებსა და ახალშენ ვენახებში

როგორც აღნიშნული იყო, წმინდა გაუმჯობესებელი ჯიშის პირველხარისხოვანი ნამყენების მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც საკვირტე, ისე საძირე მასალის წინასწარ შერჩევა-დამზადებას.

სადედეების აპრობაცია მიზნად ისახავს სტანდარტული ჯიშის შედარებით წმინდა ნარგავების გამოვლინებას. ამის შემდეგ აუცილებელია ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედეებში მასობრივი სელექციის წარმოება. ჩვეულებრივი ვენახებისაგან განსხვავებით, ვაზების შერჩევა საძირე ვაზის სადედეებში უარყოფითი ნიშანთვისებების მიხედვით წარმოებს ძირითადად ერთი-ორი წლის მანძილზე.

საქართველოში გავრცელებული საძირე ვაზის ჯიშები: ბერლანდიერი X რიპარიას ჰიბრიდები—№ 5 ბბ, № 420 ა; რიპარია X რუპესტრის ჰიბრიდები — № 3309, № 3306, № 101—14; შასლა X ბერლანდიერი 41 ბ და რუპესტრის დულო ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიადაგის მიმართ შეგუებით, კირის ამტანობითა და სხვა თვისებებით. ამიტომ სადედეებში ჯიშთა სიწმინდის დაცვას გადამწყვეტი

ფორმა 2

სასკლავო უზრუნველყოფის აქტი

რაიონი _____ სოფელი _____ საბჭოთა ან კოლმეურნეობის
 დასახელება _____ საწარმოო უბნის დასახელება _____ ნაკვეთის № ან
 სახელწოდება _____ ვაზის ჯიში _____ რიგების თვლა იწყება _____
 ვაზების თვლა იწყება _____ გაშენების წელი _____

მ.წ.	დღე	1957 წ. დაკვირვებანი		1958 წ. დაკვირვებანი		1959 წ. დაკვირვებანი		დასკვნა
		თარიღი	ვაზის დაზარალება	თარიღი	ვაზის დაზარალება	თარიღი	ვაზის დაზარალება	
6	4 18	12. IX	სრულიად უმოსავლო ქლოროზის ნიშნებით	10. IX	მცირე მოსავლიანი სამი მეჩხერი მტყენით	15. IX	მცირე მოსავლიანი ღარი პატარა მტყენით	გაიჯავოს და შეეცაოს მეზობელი № 17 მოსავლიანი ვაზის გადმოწეწვით
4	4 20	"	სხვა ჯიშის არასასურველი ნარევი	—	—	—	—	გაიჯავოს და შეეცაოს მეზობელი № 17 მოსავლიანი ვაზის გადმოწეწვით



4	30	მცირემოსავლიანი 4 პატარა მტევნით	"	მცირემოსავლიანი 6 მეჩხერი მტევნით	"	საშუალომოსავლიანი 12 მტევნით	გაიჯავოს და მასზე დაიმკნოს მაღალ- მოსავლიანი წმინ- და ჯიშის ვაზი
5	4	მცირემოსავლიანი სუსტი ზრდის	"	მცირემოსავლიანი ორი მეჩხერი მტე- ვნით	"	სუსტი ზრდის, სრუ- ლიად უმოსავლო	
8	1 6 15.	IX მაღალმოსავლიანი, საშუალო ზრდის 26 მტევნით	12. IX	საშუალომოსავლიანი, ღონიერი ზრდის, 12 მტევნით	16. XI	მაღალმოსავლიანი საშუალო ზრდის, 28 მტევნით	აიჭრას რქები ახა- ლი ვენახების გასა- შენებლად
1	12	საშუალომოსავლიანი კარგი ზრდის	"	საშუალოზე მაღალი მოსავალი	"	მაღალმოსავლიანი, საშუალო ზრდის	აიჭრას რქები
1	20	უხვმოსავლიანი კარ- გი ზრდის, 30 მტე- ვნით	"	საშუალომოსავლიანი 15 მტევნით	"	მაღალმოსავლიანი 26 მტევნით	დამზადდეს რქები



მნიშვნელობა აქვს, რადგან გამორეული სხვა ჯიშების ვაზე-
 ბიდან მიღებული ნამყენები მისთვის შეუფერებელ ნაყოფებს
 ში აუცილებლად ავადდება ქლოროზით და ისევე, როგორც
 იწვევს ვენახის სიმეჩხერეს.



ფორმა 3

უბნის სასემლექციო დავთარი

რაიონი _____ სოფელი _____ კომუნი-
 ურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის დასახელება _____

უბნის ან კვარტლის დასახელება

ნაკვეთის, თარგის № ან სახელწოდება	ჯიშის სახელწოდება	ფართობი ჰექტრობით	შერჩეული ვაზების რაოდენობა ათასი ცალით	8-10 კვირტიანი რქების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცალით	დადებითი თუ უარყოფითი ნიშნებითაა შერჩეული ვაზები	სამყნობად ვარგისი კვირტიების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცალით	შენიშვნა

მეურნეობის ხელმძღვანელი:
 სელექციონერი:

ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედეების შესწავლამ დაგვანახა, რომ ძირითადად ჯიშთან ერთად მასში საკმაო რაოდენობით გვხვდება გამორეული სხვადასხვა ჯიშის ვაზები, რომელთა გამოვლინება და შეცვლა წმინდა ჯიშის ვაზებით აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს სადედეში ჯიშთა სიწმინდის აღსადგენად.

აღნიშნულის გათვალისწინებით სადედეებში ვაზის მასობრივი შერჩევა მიზნად ისახავს სხვა ჯიშის ნარევისა და სუსტი ზრდის ავადმყოფი ვაზების გაძევებასა და მათ შეც-

ვლას მეზობელი ლონიერი ზრდის ვაზების გადაწოდნით ნარევი ვაზების გაძვეება განსაკუთრებული სიმკაცრით ბერ-ლანდიერი X რიპარიას ჰიბრიდების სადედეებში უნდა წარმოიქმნას მოებდეს, რადგან მათში გამორეული სხვა ჯიშის ვაზების დან მიღებული ნამყენები აუცილებლად დაავადდება კლო-როზით, მოისპობა და ამოვარდება ვენახიდან.

სადედეებში გამორეული სხვა ჯიშის ძირებისა და ძლი-ერ სუსტი ზრდის ავადმყოფი ვაზების მოშორება, თუ ეს ნა-რევი მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, მუშაობის პირველ წელსვე უნდა დამთავრდეს, ხოლო შემდეგ წლებში საჭირო იქნება ნაკვეთის შემოწმება გამორჩენილი ან ახლად დაავადებული ვაზების სადედედან მოსაშორებლად.

სხვა ჯიშის ნარევი ვაზების გამოცნობა—აღნიშვნა ადრე გაზაფხულიდან უნდა დაიწყოს ძირითადად ახალგაზრდა ნა-ზარდის, ყვავილის ტიპის, ფოთლის ფორმისა და რქის შე-ფერვის მხედველობაში მიღებით. ნარევი და სუსტი ზრდის ავადმყოფი ვაზების აღნიშვნა უმჯობესია ჩატარდეს რკინის ფირფიტის შებმით და დამატებით პატარა პალოების დას-მით ვაზის ძირთან, მათი ადვილად პოვნის მიზნით.

ნამყენი ვაზის სანერგეებში, აგრეთვე ახალშენ ვენახებში, ნარევიდან მათი გაწმენდის მიზნით წარმოებს ნერგების აპრობაცია—ძირობრივი შემოწმება და სხვა ჯი-შების გამორეული ვაზების გამოვლინება და აღნიშვნა.

აპრობაცია მიზნად ისახავს გამორეული ჯიშის დადგე-ნასა და მკვიდრად აღნიშვნას, რომ შემოდგომით, ნამყენე-ბის სანერგედან ამოღების დროს, შესაძლებელი იყოს მათი მოშორება და ცალკე შენახვა-გამოყენება.

გამორეული ჯიშების გამოსაცნობად დაკვირვება ადრე გაზაფხულზე უნდა დაიწყოს, როცა ნამყენი ვაზის ყლორტე-ბის სიგრძე 8—10 სანტიმეტრს მიაღწევს. ამ დროს ახალ-გაზრდა ნაზარდის წვეროები თავისი შეფერვით, ფორმით და შებუსუსებით მეტად დამახასიათებელია ჯიშისათვის. შემ-დეგ ყურადღება უნდა მიექცეს ფოთლისა და რქის ფორმას, ხოლო შემოდგომით—ფოთლების საშემოდგომო შეფერვას,

რადონი _____ სოფელი _____

კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის დასახელება _____

ეროვნული

საქართველოს

საწარმოო უბნის დასახე- ლება	რქაწითელი		მწვანე		ციცქა		კოლიკოური		
	უბნის ფართობი	ვაზების რაოდენობა ათა- სი ცალობით	კვირტების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცა- ლობით	ვაზების რაოდენობა ათა- სი ცალობით	კვირტების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცა- ლობით	ვაზების რაოდენობა ათა- სი ცალობით	კვირტების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცა- ლობით	ვაზების რაოდენობა ათა- სი ცალობით	კვირტების დაახლოებით რაოდენობა ათასი ცა- ლობით

მეურნეობის ხელმძღვანელი:

რომლის მიხედვით ძლიერ ადვილია წითელი ჯიშების გამოვლინება. გამოვლინებულ ნარეგ ვაზებს მკვიდრად უნდა შეეხასნიშნები ან დაბლა გადაეჭრას ყლორტები, რომ ადვილი იყოს ნამყენების ამოღების დროს მათი განცალკევება. ასევე გულდასმით უნდა შეირჩეს ნამყენები სანერგედან ამოღების დროს. ახალი ვენახების მოსავლიანობა დიდად არის დამოკიდებული სარგავი მასალის ხარისხზე. რაც უფრო კარგი შეხორცება, ღონიერი ერთწლიანი ნაზარდი და ფესვთა სისტემა ექნება ნამყენებს განვითარებული, მით უფრო ღონიერი ზრდით და მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებიან ისინი ვენახებში. ამიტომ მაღალხარისხოვანი და ხარისხოვანი ვენახების გასაშენებლად ნახსენებ ღონისძიებებთან ერთად, სახელდობრ მოსავლიანი ვაზების და ვაზზე უკეთესი განვითარების რქების შერჩევასთან ერთად საჭიროა საუკეთესო ღონიერი ზრდა-განვითარების ნამყენების შერჩევაც.



კლონური ანუ ძირობრივი შერჩევა ვაზის სელექციის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. იგი ისტაბილურ მთავარი სტანდარტული ვაზის ჯიშების არსებით გაუმჯობესებას, მათგან მაღალმოსავლიანი და ხარისხოვანი მოდგმების (კლონების) გამოვლინებას, შთამომავლობაში მათ შემოწმებას და წარმოების პირობებში დანერგვას. კლონური შერჩევის დროს მაღალმოსავლიანი ვაზების გამოვლინება, გამრავლება, დარგვა და ადგილზე შემოწმება წარმოებს არა ყველასი ერთად, როგორც ეს მასობრივი სელექციის დროს ხდება, არამედ ვაზის ცალკეული ძირების, მოდგმების ანუ კლონების მიხედვით. ამიტომ ამგვარ შერჩევას კლონური, ძირობრივი ანუ ინდივიდუური სელექცია ეწოდება. კლონური, სელექცია უფრო დაკვირვებულ და ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. კლონის საბოლოო გამოვლინებისათვის საჭიროა მან გაიაროს შემდეგი საფეხურები: ა) კლონების გამოვლინება საწარმოო ვენახებში. ამ მიზნით სამი, იშვიათად ოთხი, წლის მანძილზე წარმოებული დაკვირვებებით და აღრიცხვებით ავლენენ მაღალმოსავლიან და ხარისხოვან ვაზებს; ბ) კლონების შემოწმება კლონთა დადგენის ნაკვეთზე, ამისათვის გამოვლინებულ ვაზებს ამრავლებენ მყნობის საშუალებით სათითაოდ თავიანთი ნომრების მიხედვით, რგავენ კლონების დადგენის ნაკვეთზე და ამოწმებენ მათ სამეურნეო თვისებების სიმყარეს შთამომავლობით-მოდგმის დედისეულ თვისებებთან დაპირისპირებით; გ) კლონების შემოწმება—გამოცდა კლონთა გამოსაცდელ ნაკვეთზე. საუკეთესო კლონებს, რომლებმაც ახალ გარემო პირობებშიც მკვიდრად შეინარჩუნეს მაღალი მოსავალი და ხარისხი, დაუყოვნებლივ ამრავლებენ ნამყენების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით და რაიონის სტანდარტულ ჯიშთან ერთად მრავალჯერადი განმეორებით რგავენ კლონთა გამოსაცდელ ნაკვეთში სამეურნეო თვისებების შესამოწმებლად და წარმოების პირობებში დასაწერად.

კლონების დადგენისა და მათი წარმოების პირობებში
გამოცდასთან დაკავშირებული სამუშაოები უნდა წარმოებდეს
მევენახეობის საკვლეო-სამეცნიერო დასეწებულენასთან მჭიდრო
რო კავშირში.

1. კლონური სელექციის წარმოების წესი

კლონური სელექციის საწარმოებლად გამოყენებული უნდა იქნეს სელექციური სადედე ვენახები ან პირველი კატეგორიის ვენახები, რომლებზედაც სისტემატურად წარმოებს მასობრივი სელექცია. მუშაობის დაჩქარების მიზნით მაღალმოსავლიანი ვაზების შერჩევისას იყენებენ იმ ვაზებს, რომელთაც მასობრივი სელექციის წარმოებისას სამი წლის მანძილზე სამი დადებითი შეფასება ჰქონდათ მიღებული. თუ წინათ მასობრივი სელექცია არ წარმოებულა შეარჩევენ სტანდარტული ჯიშის პირველი კატეგორიის შედარებით წმინდა, კარგად მოვლილ და მაღალმოსავლიან ვენახს და შეუდგებიან კლონური სელექციის წარმოებას. ვაზების შერჩევა კლონური სელექციის დროს წარმოებს მხოლოდ დადებითი ნიშანთვისებების მიხედვით. ვენახში არჩევენ ისეთ ვაზებს, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი მოსავლიანობით, ჯიშისათვის დამახასიათებელი სიდიდისა და სიმკვრივის მტევნებით, ვაზის ნორმალური ზრდით და სიჯანსაღით. ასეთი ვაზების რაოდენობა ცალკეული ჯიშების მიხედვით ვენახში საშუალოდ 10-დან 25 $\frac{1}{\circ}$ -მდე მერყეობს. უკეთესებიდან უფრო უკეთესების გამოსავლინებლად წინასწარ შერჩეულ ყოველ ვაზზე აწარმოებენ შემდეგ აღრიცხვებს: ა) ითვლება თითოეულ ნეკსა და საკავებელზე განვითარებული ნაყოფიანი (მტევნებიანი) და უნაყოფო ყლორტები ცალ-ცალკე; ბ) ითვლება მტევნების მთელი რაოდენობა ვაზზე, ხოლო რთვლის დროს ყოველი გამოვლინებული ვაზის მოსავალი იწონება ცალ-ცალკე, რისთვისაც იკრიფება ყველა მტევანი და იწონება ერთად, ხოლო მტევნის საშუალო წონის გამოსაყვანად დაითვლება მტევნების რაოდენობაც. პარალელურად აღინიშნება მტევნების სიდიდე, მათი სიმკვრივე, მარცვ-

ლის სიმსხო, ხოლო წვენიში ისაზღვრება შაქრიანობა, მჟავიანობა. მოპოვებული მონაცემების საფუძველზე წარმოება შერჩეულ ცალკეული ვაზებისათვის მოსავლიანობის მაჩვენებლების გაანგარიშება:

ბიზნის-პლანის

1. მსხმოიარობის კოეფიციენტი, ანუ მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე. მის გამოსაყვანად მტევნების მთელ რაოდენობას ჰყოფენ რქების მთელ რაოდენობაზე.

2. მტევნის საშუალო წონა, რომელიც გამოჰყავთ ვაზზე ყველა მტევნის წონის გაყოფით მტევნების რიცხვზე (რაოდენობაზე).

3. უნაყოფო რქების პროცენტი, რომელიც გამოჰყავთ უნაყოფო რქების 100-ზე გამრავლებით და რქების მთელ რაოდენობაზე გაყოფით.

4. რქის პროდუქტიულობა ანუ მოსავალი გრამობით საშუალოდ ერთ რქაზე, რომელიც გამოჰყავთ მტევნის საშუალო წონის მსხმოიარობის კოეფიციენტზე გამრავლებით.

5. პროდუქციის ხარისხის გამორკვევა წარმოებს ყურძნის წვენიში შაქრიანობა-მჟავიანობის განსაზღვრით აღნიშნული მონაცემების მოპოვება და მაჩვენებლების გაანგარიშება პრაქტიკულად შემდეგნაირად წარმოებს. მაგალითისათვის დავასახელოთ ერთ-ერთი მეურნეობა: დიდმის საბჭოთა მეურნეობა, ჯიში ჩინური, თარგი № 4 რიგი 12, ვაზის № 6.

1. მონაცემების მოპოვება: დაითვლება გამოვლინებული ვაზის № 6-ის ყოველ საკავებელსა და ნეკზე:

- ა. ნაყოფიანი რქები სულ 27,
- ბ. უმტევნო რქები 5,
- გ. რქების მთელი რაოდენობა ვაზზე . . 32,
- დ. მოიკრიფა მტევნები სულ 48 ცალი,
- ე. მოკრეფილი მტევნების წონა . . . 5952 გრამი

2. მაჩვენებლების გამოანგარიშება:

1. მსხმოიარობის კოეფიციენტი: განისაზღვრება მტევნების რაოდენობის რქების რიცხვზე გაყოფით:

$$\frac{\text{სულ მტევნები } 48}{\text{სულ რქები } 32} = 1,5$$



2. მტევნის საშუალო წონა:

$$\frac{\text{მტევნების წონა } 5952 \times 952}{\text{მტევნების რაოდენობა } 48} = 124 \text{ გ/გრამი}$$

3. უნაყოფო (უმტევნო) ყლორტების %

$$\frac{\text{უმტევნო რქები } 5 \times 100}{\text{სულ რქები } 32} = 15.62 \%$$

4. ვაზზე ერთი რქის მოსავალი:

$$\frac{\text{მოსავლის წონა } 5952}{\text{რქების რაოდენობა } 32} = 186 \text{ გ/გრამი}$$

ანუ რქის პროდუქტიულობა, რომელიც შეიძლება გავიგოთ მტევნის წონის—მოსავლიანობის კოეფიციენტზე გამრავლებით— $124 \times 1.5 = 186$ გ/გრამი.

5. წვენის შაქრიანობა 1956 წ. 10 X უდრიდა 20%-ს, ხოლო მუშავიანობა—8.2%-ს. ძირითადად ამ მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლების დაპირისპირებით წარმოებს საუკეთესო მაღალმოსავლიანი ვაზების შერჩევა, რომლის დროს პირველ რიგში ვაზზე რქის პროდუქტიულო-

ფორმა 5

კლონური სელექციის დავითარი

მეურნეობის დასახელება _____ ნაკვეთის სახელწოდება _____
 ჯიში _____ გაშენების წელი _____ საძირე _____
 რე _____ საიდან იწყება მწკრივების თვლა.
 მუშაობის დაწყების თარიღი წელი, თვე რიცხვი

მწკრივის №	ვაზის №	ნაყოფიან ყლორტების %	მოსავლიანობის კოეფიციენტი	მტევნის საშუალო წონა გრ-ბით	რქის პროდუქტიულობა გრ-ბით	მოსავალი ძირზე კ/გ	ანასხლავის წონა გრ-ბით	შაქრიანობა %-ბით	მუშავიანობა %/100	კლონის მოკლე დახასიათება
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ბას*, ყურძნის ხარისხს, შემდეგ, ნაყოფიანი ყლორტების ბრო-
ცენტს, ანასხლავის წონას და სხვა სამეურნეო თვისებებს
იღებენ მხედველობაში. ამ დაპირისპირების შედეგად გამოიყ-
ვლინებული ყველა მცირემოსავლიანი და სხვა დაბალი სა-
მეურნეო მაჩვენებლების მქონე ვაზებს ვიწუნებთ და მათ ვთი-
შავთ დაკვირვებიდან. ამგვარად შერჩეულ საუკეთესო ვაზებს
შეაბამენ შესაფერ ნიშანს (ფირფიტას), მიაკუთვნებენ რიგით-
ნომერს და შეაქვთ კლონური სელექციის დავთარში ყველა-
მონაცემისა და მოკლე დახასიათების ჩაწერით თანდართული-
ფორმის მიხედვით (ფორმა 5) მომდევნო წლებში წარმოებს
ამ საუკეთესო ვაზების შემოწმება, რისთვისაც ყოველწლიუ-
რად სამი-ოთხი წლის მანძილზე ტარდება ზემოთ მოყვანილი
სამეურნეო აღრიცხვები (მოსავლიანობა, პროდუქციის ხარის-
ხი, ანასხლავის წონა და სხვა) მათგან ყოველწლივ მალალი სა-
მეურნეო ღირებულების მქონე მოდგმების გამოსავლინებლად.
სამი-ოთხი წლის მუშაობის შემდეგ ვაჯამებთ მუშაობას და შე-
ვარჩევთ მხოლოდ იმ ვაზებს, რომლებიც ყოველწლიურად შე-
დარებით მალალი სამეურნეო მაჩვენებლებით ხასიათდება.
დანარჩენ ვაზებს ვიწუნებთ და დაკვირვებიდან ვთიშავთ.

2. გამოვლინებული მოდგმების შემკვიდრობითი შემოწმება

საბოლოოდ შერჩეული ვაზებიდან ცალ-ცალკე თავი-
ანთი ნომრების მიხედვით მზადდება კარგად განვითარებული
და მომწიფებული საღი რქები ვაზიდან 8—12 ცალის რაოდე-
ნობით, რაც შეიძლება მეტი (40—60) ნამყენების დასამზა-
დებლად. ნამყენები ცალ-ცალკე, თავიანთი ნომრების მიხედ-
ვით ირგვება სანერგეში დასაფესვიანებლად. განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება უნდა მიექცეს ვაზების ზუსტ ეტიკეტირებას
(აღნიშვნას) ვენახში, სანერგეში და საკვდელ ნაკვეთზე. ნამყე-
ნები სანერგედან ამოღების უმაღლეს მკაცრად ხარისხდება.

* ვაზების შედარებისას, რომ არ შევცდეთ საჭიროა საზომად ავი-
ლოთ გამოვლინებულ ყველა ვაზებიდან რქის საშუალო პროდუქტიულობა.
ყველა ის ვაზი, რომლის რქის პროდუქტიულობა ამ საერთო საშუალოზე
მალალი აღმოჩნდება, რჩება, ხოლო ყველა დანარჩენი იწუნება.

მხოლოდ საუკეთესო, სრულად (ირგვლივ) შეხორცებული, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემის და წლიური ნაზარდის მქონე ნამყენები შეირჩევა კლონთა დასაყენებლად.

ფენოლოგიური დაკვირვების დავთარი

ფენოფაზები და სამეურნეო ნიშნები	ძირების რაოდენობა										საშუალო
	1	2	3	4	5	—	—	—	—	15	
კვირტის გაშლის დასაწყისი											
ყვავილობის დასაწყისი											
სიმწიფის დასაწყისი											
სრული სიმწიფე											
ფოთოლცვენის დასაწყისი											
მილდიუმის მიმართ გამძლეობა *											
ნაცრის მიმართ გამძლეობა *											

ვეთში დასარგავად. ცალკეული კლონიდან იღებენ ვაზების თანაბარ რაოდენობას-10—15 ნამყენს. ნაკვეთი კლონთა დასადგენი ვენახისათვის უნდა შეირჩეს რაიონისათვის დამახასიათებელი მდებარეობითა და ნიადაგის ტიპით. ვენახის გაშენება და მოვლა უნდა წარმოებდეს რაიონში მიღებული მოწინავე აგროწესების დაცვით. თითოეული მოდგმა ირგვება თავისი ნომრის ქვეშ განუმეორებლად. პირველ მოსავალში შესვლისთანავე იწყება დაკვირვებანი ცალკეული კლონების მიხედვით ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე (ფორმა 6) და სამეურნეო აღრიცხვები მოსავლიანობის და პროდუქციის ხარისხის დასადგენად. სამი-ოთხი წლის დაკვირვებების შედეგად ვავლენთ მხოლოდ იმ კლონებს, რომელთა შთამომავალი მკვეთრად შეინარჩუნებს დედისეული ძირის მაღალ სამეურნეო თვისებებს-უხვ მოსავალს, ხარისხს, ზრდის დონეს. ასეთი ვაზები ძლიერ ცოტაა, ცალკეული ჯიშების მიხედვით ზოგჯერ 5 პროცენტს არ აღემატება. ყველა დანარჩენი უყოყმანოდ უნდა იქნეს დაწუნებული.

* სუსტი, საშუალო, კარგი.

3. გამოვლინებული კლონების გამოცდა



კლონთა გამოცდა მათი შესწავლისა და შემოღებისას ბოლო საფეხურია. გამოვლინებული კლონები და მიდიან კლონთა გამოსაცდელ ვენახში, კლონთა დადგენის ნაკვეთისაგან განსხვავებით, იცდება კლონების მცირე რაოდენობა-2—3 საუკეთესო კლონი, ნამყენების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით არა ნაკლები 160—200 ცალისა თითოეულ კლონზე. კლონების მყნობა, სანერგეში დარგვა, ნამყენების ამოღება-დახარისხება და შემდეგ ნაკვეთის შერჩევა კლონების დასარგავად და მისი მოვლა-დამუშავება წარმოებს ისე, როგორც ეს აღნიშნული იყო კლონთა დადგენის ნაკვეთისათვის.

ცალკეული მოდგმა (კლონი) ირგვება კლონთა გამოსაცდელ ვენახში 8 განმეორებით, არა ნაკლებ 20—25 ვაზისა განმეორებაში, სულ კლონზე 160—200 ცალი ნამყენის რაოდენობით. ეს რაოდენობა (160 ცალი) სავსებით საკმარისია კლონთა გამოცდაში საჭირო სიზუსტის დასაჭერად. კლონთა გამოსაცდელ ვენახში წარმოებს ცალკეული კლონების მიხედვით ფენოლოგიური დაკვირვებანი ვაზის ბიოლოგიური ფაზების დასადგენად. აღინიშნება კვირტის გაშლის, ყვავილობის; სიმწიფის დასაწყისი და ყურძნის სრული სიმწიფე. სამეურნეო აღრიცხვები მოსავლიანობის და პროდუქციის ხარისხის დასადგენად წარმოებს ზემოთ მოყვანილი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. დაკვირვებანი ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაზე და მოსავლის აღრიცხვები წარმოებს ცალკეული განმეორებების მიხედვით, ხოლო საცდელი ღვინის დამზადება ყველა განმეორებისა ერთად თითოეული კლონის მიხედვით. კლონების საბოლოო შეფასება და მათგან უკეთესობის გამოვლინება წარმოებს მათი სამეურნეო მაჩვენებლების (მოსავლიანობა, ზრდის დონე, ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა, ღვინის ხარისხი და სხვა) ურთიერთთან და რაიონის იმავე სტანდარტული ჯიშის მაჩვენებლებთან დაპირისპირებით.

გამოვლინებული მაღალი სამეურნეო ღირებულების კლო-
ნები ცალკეული ჯიშების მიხედვით გადაეცემა სახელმწიფო
ჯიშთა გამოცდას წარმოების პირობებში შესამოწმებლად
დასანერგად.

საქართველოს
სოფლის მეურნეობის
მინისტროს

IV. ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა

ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა თანამედროვე აგრო-
ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით უნდა წარმოებდეს.
მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად მდიდარია ვა-
ზის ჯიშებით, ახალი, უფრო პროდუქტიული, სოკოვან ავად-
მყოფობათა მიმართ უკეთ გამძლე და გარემო პირობისადმი
უკრო შეგუებული ჯიშების მიღება ამჟამადაც გადაუდებელ
ამოცანას წარმოადგენს. ცდებს ვაზის ახალი ჯიშების გამო-
საყვანად ჩვენში არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი დაწესე-
ბულებანი, არამედ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეო-
ბის პრაქტიკოსი მევენახეებიც აწარმოებენ. მუშაობა ამ მი-
მართულებით უფრო ფართოდ მაშინ გაიშალა, როცა ბუნე-
ბის დიდი გარდამქმნელის ივანე მიჩურინის მოძღვრება ხელ-
მისაწვდომი გახდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეო-
ბის ფართო მასებისათვის. მოწინავე აგრობიოლოგიურ მოძ-
ღვრებაზე დაყრდნობით ვაზის ახალი ჯიშების მიღების წარ-
მატებით საწარმოებლად ძირითადად საჭიროა:

1. ამოცანის სწორად დასმა, რომელიც გულისხმობს
ყურძნის მოხმარება-გადამუშავების მთავარი მიმართულები-
სათვის უფრო შესაფერი, არსებულზე უკეთესი ახალი ჯიშის
შექმნას;

2. დასახული ამოცანის შესაბამისად მშობელთა წყვი-
ლის სწორი შერჩევა;

3. შერჩეული წყვილის ურთიერთთან შეჯვარების წარ-
მოება;

4. ჰიბრიდული ნათესარების მიმართულებით აღზრდა
მენტორისა და სხვა ხერხების გამოყენებით;

5. უკეთესი ნათესარების შერჩევა-გამრავლება და წარ-
მოების პირობებში გამოცდა.

აღნიშნულის შესაბამისად ჩვენი მევენახეობა-მეღვინეო-
ბის წინაშე პირველ რიგში გადასაწყვეტად დგას შემდეგი
ამოცანები:

ეროვნული

ა. სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის გამძლე ხარისხოვანი ჯიშების გამოყვანა;

ბ. ყინვაგამძლე სასუფრე და საღვინე მოკლე ვეგეტა-
ციის ვაზის ახალი ჯიშების შექმნა საქართველოს მაღალმთი-
ანი რაიონებისათვის;

გ. სხვადასხვა სიმწიფის მაღალხარისხოვანი სასუფრე
ყურძნის და მსხვილმარცვალა უწიპწო ჯიშების გამოყვანა
ახლად მოკრეფილი ყურძნის მოხმარების სეზონის გასახანგრ-
ძლივებლად;

დ. სასუფრე და შამპანური ღვინისათვის უფრო პრო-
დუქტიული და ხარისხოვანი ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა.

1. მშობელთა წყვილის შერჩევა და ახალი ჯიშის მიღების მეთოდები


დასახული ამოცანების შესაბამისად მშობელთა წყვილის
შერჩევაც დიფერენცირებულად (განსხვავებულად) უნდა წარ-
მოებდეს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გეოგრაფიულად
დაშორებული და სისტემატიკურად განსხვავებული მშობელთა
წყვილის შერჩევის უპირატესობა ჰიბრიდულ ნათესებში მემკ-
ვიდრეობითი თვისებების სასურველი მიმართულებით უკეთ
წარმართვისა და მათი გარემოს პირობებისადმი უკეთ შეგუე-
ბისათვის. შესაჯვარებელი წყვილის შერჩევისას განსაკუთრე-
ბული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მშობელთა წყვი-
ლის იმ მთავარ სამეურნეო თვისებებს, რომელთა შერწყმა
ჩვენ გვსურს მომავალ ჯიშში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით სოკოვან ავადმყო-
ფობათა და ფილოქსერის მიმართ ხარისხოვანი ვაზის ახა-
ლი ჯიშების მიღების მიზნით უნდა შეირჩეს, ერთი მხრივ,
გამძლეობის თვისებებით მკვეთრად გამოსახული ამერიკუ-
ლი წარმოშობის ველური საძირე სახეები: რიპარია გლუ-
არი, ბერლანდიერი X რიპარია № 420 ა ან 5 ბბ, ხოლო,

მეორე მხრივ, ადგილობრივი მაღალხარისხოვანი და მოსავლიანი ვაზის საღვინე ჯიშები: რქაწითელი, სადრეო, ციკვა, ცოლიკოური და სხვანი. ამავე მიზნით სადრეო რქაწითელი X რიპარიას ან მწვანე უკეთესი ჰიბრიდების ისევ მწვანე ან რქაწითელთან შეჯვარება. ფილოქსერის მიმართ პრაქტიკულად გამძლე ჯიშების მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სხვადასხვა კუთხის ევროპული ვაზის შედარებით უფრო გამძლე ჯიშები, როგორცაა ფილოქსერის მიმართ, მაგალითად, რქაწითელი, ციკვა, ჩინური, ბერძნული ვარდისფერი, კაბერნე, მწვანე და სხვები, ხოლო მილდიუმის მიმართ—ცოლიკოური, ბაზალეთური, ალიგოტი, კუმსი თეთრი, კუნძა და სხვები. მოკლე ვეგეტაციის ყინვაგამძლე ჯიშების მისაღებად უნდა შეირჩეს, ერთი მხრივ, ყინვების მიმართ ყველაზე მეტად გამძლე აზიური ველური სახეობა—ანურის ვაზი, რომელიც თავისუფლად იტანს 40° ყინვას და, მეორე მხრივ, საადრეო შედარებით ყინვაგამძლე ჯიშები, როგორცაა: მადლენი ანჟეგენი, მალენგრის საადრეო, პინო შავი, შარდონე, საბას მარგალიტი და სხვა. ამავე მიზნისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საადრეო და საშუალო პერიოდის ადგილობრივი და სხვა რაიონების ყინვების მიმართ შედარებით გამძლე ჯიშები, როგორცაა: რქაწითელი, მწვანე, რისლინგი, პინო შავი, და სხვები.

ასეთი მიდგომით უნდა შეირჩეს აგრეთვე შესაფერი ჯიშები სასუფრე ყურძნის, შამპანური და სასუფრე ღვინის უკეთესი ჯიშების ნისაღებად. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს დასახელებული მიმართულებების, ერთი მხრივ, მაღალმოსავლიანი და მეორე მხრივ, მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშები. შესაჯვარებელი წყვილის შერჩევის შემდეგ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შეჯვარებისა და აღზრდის მეთოდებს. ახალი ჯიშის მიღება მრავალი გზით და საშუალებით შეიძლება, მაგალითად:

ა. თავისუფლად დაყვავილებული ვაზიდან აღებული წიპწების მოთესვით და მიღებული ნათესარების შესაფერისი აღზრდით;



ბ. წინასწარ შერჩეული წყვილის ურთიერთთან შეჯვარებით და მიღებული ჰიბრიდული ნათესარების დასახული აღზრდით—მასში სასურველი თვისებების აღიერებლად და არასასურველის დასათურგნავად;

გ. ვეგეტატიური ჰიბრიდაციის გზით, სახელდობრ, განსხვავებული ჯიშის, სახეობის ან სხვადასხვა ჰასაკის ვაზების ერთიმეორეზე მყნობით. ყოველგვარი შეჯვარების გარეშე;

დ. კვირტის ვარიაციების გამოვლინებით, მათგან უკეთესების შერჩევით, გამრავლებით და სხვა.

თავისუფლად დაყვავილებული ვაზიდან აღებული წიპწის მოთესვის მეთოდი გამოსადეგია უმთავრესად ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით შეარჩევენ სტანდარტული ჯიშის ისეთ ვაზებს, რომლებიც ღონიერი ზრდით, მაღალი მოსავლით და შეკრული მტევნებით ხასიათდებიან.

საერთოდ ყოველი მცენარე დაჯილდოებულია შერჩევის უნარით იმ მტვერის მიმართ, რომელიც უფრო შესაფერისია მისი კვერცხუჯრედის გასანოციერებლად. ბიოლოგიურად რაც უფრო შეესატყვისება ვაზის ამა თუ იმ ჯიშის მტვერი სხვა რომელიმე ჯიშის კვერცხუჯრედს გასანოციერებლად, მით უფრო გარემო პირობებისადმი შეგუებულ შთამომავლობას მოგვცემს. ამ გარემოებაზე დაყრდნობით ივ. მიჩურინი ფართოდ იყენებდა არა მარტო განსაზღვრული ჯიშის მტვერს, არამედ სხვადასხვა ჯიშების მტერის ნარევისაც. ივ. მიჩურინმა ბუნებრივი (თავისუფალი) დამტვერვით მიღებული წიპწების მოაუესვით და შესაფერი აღზრდით შეძლო მიეღო ვაზის ისეთი ახალი ჯიშები, როგორიცაა: ჩორნი სლადკი (პინო შავის ნათესარი), მაღენგრის ნათესარი, შასლა № 135 და სხვები. ამ მეთოდით შეიძლება ძირითადად არსებული ჯიშების გაუმჯობესება მათი ზოგიერთი სამეურნეო თვისებების გაძლიერებით. მაგრამ ამ წესით მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე ახალი ჯიშის მიღება ყოველთვის არ შეიძლება. ამიტომ ვაზის სელექციონერები თავის მუშაობაში უფრო ხშირად მიმართავენ ჯიშების ურთიერთთან შეჯვარებას. ვაზის ახალი ჯიშების წილების ეს წესი მდგომარეობს შესაჯვარებელი წყვილის სწორ შერჩე-



ვაში, შეჯვარების წარმოებასა და მიღებული ჰიბრიდული ნათესარების ნიმართულებით აღზრდაში. ამ წესის მიხედვით რინიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მის შექმნაში „ამ საქმეში ყოველივე დამოკიდებულია შესაჯვარებელი წყვილის კომბინაციების დაკვირვებით შერჩევასა და უმთავრესად ჰიბრიდული ნათესარების მიზანშეწონილ აღზრდაზე მათი ახალგაზრდობის ჰასაკში. ამ მომავალი ჯიშის ხარისხი თითქმის მთლიანად დამოკიდებულია აღზრდის რეჟიმისაგან“. ამ მეთოდის გამოყენებით მიჩურინმა მიიღო ჩრდილოეთ რაიონებისათვის ვაზის ისეთი ახალი ჯიშები, როგორცაა: ბუიტური, არქტიკი, მეტალური, რუსული კონკორდი და სხვები.

ვაზის ახალი ჯიშების მიღების მესამე წესს ვეგეტატიური ჰიბრიდიზაცია წარმოადგენს. იგი წარმოებს მყნობის საშუალებით. სხვადასხვა სახეობის ან სხვადასხვა ჯიშის ერთიმეორეზე მყნობის შედეგად, ისევე როგორც სქესობრივი ჰიბრიდაციის დროს, ხდება მემკვიდრეობითი საფუძვლის შენჯღრევა და ამ წესით მიღებული ვეგეტატიური ჰიბრიდები უფრო მეტი ცვალებადობით ხასიათდებიან და შესაფერისი პირობების შექმნით შეიძლება მათგან სასურველი თვისებების ვაზის ახალი ჯიშების მიღება. ვეგეტატიურ ჰიბრიდაციას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შემთხვევებში, როცა ახალი ჯიშის მიღება შერჩეული წყვილის ერთმანეთთან შეუჯვარებლობის გამო მოუხერხებელია.

დასასრულ, ვაზის ახალი ჯიშის მიღება შესაძლებელია კვირტის ვარიაციების გამოვლინებით და ცალკე გამრავლებით. როგორც ვიცით, გარემო პირობების ზეგავლენით უფრო ხშირად კვების პირობების შეცვლის შედეგად—ზოგიერთი კვირტი განიცდის ცვლილებებს და იძლევა დედა მცენარისაგან განსხვავებულ ყლორტს, რომლის ცალკე გამრავლებით შეიძლება მივიღოთ ახალი, ძველისაგან რაიმე ნიშნით განსხვავებული, ჯიშის კვირტის ვარიაციები შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი ისე დადებითი თვისებებისა. ამ გზით მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საწარმოო ვენახში 1934 წელს გამოვლინებული იყო საფერავის ვენახში დიდთანაყვავილიანი საფე-



რავი, რომელიც ჩვეულებრივი საფერავისაგან ძირითადად დიდი თანაყვავილებით განსხვავდება და რომელიც ვილებს შემდეგ ივითარებს ძლიერ მეჩხერ მტკვარს. მტკვარის წიბოები წვრილმარცვლიანობით. ასეთივე წარმოშობის უნდა იყოს საფერავი ბუდეშურისებრი, ვარდისფერი რქაწითელი, ყვითელი ანუ უფიფქო მწვანე და სხვა ვარიაციები. ამავე გზით საუკუნეთა მანძილზე შავი პინოსაგან ცვალებადობის გზით წარმოშობილია 100-მდე მარცვლის სხვადასხვა ფორმის, შეფერვის, სიმწიფისა და სხვა სამეურნეო თვისებების ვარიაცია.

2. შეჯვარების წარმოება


ვაზების შეჯვარება სიძნელეს არ წარმოადგენს, ამისათვის წინასწარ ამზადებენ შესაჯვარებელ წყვილს. ჩვეულებრივ ვაზს აქვს შემდეგი ტიპის ყვავილები: ორსქესიანი, ფუნქციონალურად მდედრობითი, მამრობითი და ძლიერ იშვიათად წმინდა მდედრობითი.

ორსქესიანი ყვავილები აქვთ კულტურული ვაზის ჯიშებს, ფუნქციონალურად მდედრობითი—როგორც კულტურულ, ისე გარეულ ვაზს, მამრობითი-მხოლოდ ველურ ვაზს, ხოლო წმინდა მდედრობითი—ნაპოვნია მარტო ერთ ჯიშ მურვედრზე. ყვავილის აღნიშნული ტიპების აგებულება მოცემულია მე-7 სურათზე.

თანაყვავილის შესაჯვარებლად მომზადება გულისხმობს ყვავილიდან მტვრიანების გაცლას (კასტრაციას), იგი წარმოებს 2—3 დღით ადრე ყვავილობის დაწყებამდე. ხელის პატარა მაშით (პინცეტით) ფრთხილად აცლიან ყვავილს ჩაჩს თავისი მტვრიანებით ან როცა მტვრიანათა ძაფები მოკლეა—ჯერ ჩაჩს აცლიან, მერე კი მტვრიანებს ჯგუფ-ჯგუფად ან სათითაოდ. კასტრაციის დამთავრების უმაღლეს თანაყვავილს მოათავსებენ პერგამენტის ქაღალდის პარკში (იზოლატორში) და ფრთხილად ყუნწზე ბამბის შემოხვევის შემდეგ ამაგრებენ ვაზის ყლორტზე ძაფით. ქაღალდის პარკი იცავს ყვავილებს

გარეშე მტვრისაგან. თუ შესაჯვარებლად აღებულია მდედრობითი სქესის ჯიში, მისი დაკოდევა საჭიროა ვან მისი მტვერი განაყოფიერების უნარს ყვავილობის დაწყებამდე 3—5 დღით ადრე გარეშე მტვრისაგან დაცვის მიზნით ფუნქციონალურად მდედრობითი ჯიშის თანაყვავილებს მტვრიანებგაუცლელად ათავსებენ პერგამენტის იზოლატორებში.

მტვრის დამზადების დრო დამოკიდებულია მამა მცენარის ყვავილობის დაწყებასთან. თუ მამა მცენარე უფრო ადრე დაიწყებს ყვავილობას, მტვერს ადრე ამზადებენ და ინახავენ. ამ მიზნით ყვავილობის დროს ხელის პატარა მამით აგროვებენ მტვრიანებს ცალკე პარკში ან თანაყვავილს წინასწარ შეებაშენ ქაღალდის პარკს, რომელშიაც გროვდება მამა მცენარის მტვერი. თუ ველური ვაზებიდან მზადდება მტვერი, ამ შემთხვევაში ყვავილობის დასაწყისში კრეფენ თანაყვავი-




სურ. 7. ორსქესიანი ყვავილი

ლებს და გრილ ოთახში შლიან პერგამენტის ქაღალდზე გასაშრობად. 2—3 დღის შემდეგ მას ამორებენ კლერტს, დაფებს, ჩაჩებს და დარჩენილ მტვერს ცრიან აბრეშუმის ქსოვილში და ინახავენ სინჯარებში, მშრალ გრილ ოთახში.

იკ მემთხვევაში, როცა შესაჯვარებელი წყვილი ერთხელად იმეფე
 დროს ყვავის, მაშინ საკნარისია წინასწარ შებმული პარკი მამა

ეროვნული
 ბიბლიოთეკა



სურ. 7₂. მამრობითი ყვავილი 7₃. მდედრობითი ყვავილი

მცენარისაგან, მისი კარგად შერხვევის შემდეგ, გადატანილ იქნეს
 დედა მცენარის იზოლირებულ თანაყვავილზე. როცა შესაჯვა-
 რებელი წყვილი სხედასხვა დროს ყვავის, საჭირო ხდება
 ზოგ მემთხვევაში ყვავილობის დაწყების დაჩქარება, ზოგჯერ

კი, პირიქით, მისი დაგვიანება.
 ყვავილობის დასაჩქარებლად ვა-
 ზი მთლიანად ან მისი თანაყვავი-
 ლიანი რქა უნდა გადაწვეს მიწის
 ზედაპირთან მიახლოებით, რაც
 3—5 დღით აჩქარებს ყვავილო-
 ბის დასაწყისს. დასაგვიანებლად
 კი მიმართავენ ვაზების ყვავილო-
 ბის დაწყებამდე მორწყვას ან მის
 ირგვლივ თხრიან ორმოს, რო-
 მელშიც ყრიან თოვლს და ზემო-
 დან აყრიან ჯერ ჩალას და მერე
 მიწას. ამ საშუალებით ერთი
 კვირით და უფრო მეტი ხნით
 ხდება ყვავილობის დაგვიანება. მტერის დანაზადების შემდეგ
 შეუღლებიან თანაყვავილების ხელოვნურ დამტვრიანებას, რო-



სურ. 7₄ წმინდა მდედრო-
 ბითი ყვავილი

ხდება ყვავილობის დაგვიანება. მტერის დანაზადების შემდეგ
 შეუღლებიან თანაყვავილების ხელოვნურ დამტვრიანებას, რო-

შელიც ხდება მამა მცენარის მტერის დედის კასტორიკულ
ყვავილებზე გადატანით. დამტვერიანების საუკეთესო დროდ
ითვლება ის მომენტი, როცა დედისეული ყვავილის ნივთი
კოს დინგზე გაჩნდება ოდნავ წებოვანი სითხის მდგომარეობაში.

დამტვერიანების დროს თანაყვავილზე ჰაერში მფრინავი
მტვერი, რომ არ მოხვდეს პერგამენტის პარკებს ორ 'შესაკ-
რავს უტოვებენ, ერთით იგი მიემაგრება თანაყვავილის ყუნწს,
მეორედან კი წარმოებს ყვავილების ხელოვნური დამტვერია-
ნება, რისთვისაც მას ფრთხილად ხსნიან, ასწორებენ, ხოლო
შემდეგ ფუნჯით შეაქვთ მტვერი და ატარებენ ყველა ყვა-
ვილზე. ამას სხვანაირადაც აკეთებენ: პარკზე ამოჭრიან
მრგვალ ნაჩვრეტს ფუნჯის გასატარებლად, ხელოვნური დამ-
ტვერიანების შემდეგ ამონაჭერზე აწებებენ მასზე მოზრდილი
ზომის პერგამენტის მრგვალ ქალაღს. ვინაიდან ყველა ყვა-
ვილი ერთდროულად არ არის მზად მტერის მისაღებად, სა-
ვალდებულოა 2 ან 3 დღის შემდეგ დამტვერიანების გამე-
ორება.

გვარეობათა და ზოგჯერ სახეობათა შორისი შეუჯვა-
რებლობის დასაძლევად ივ. მიჩურინმა გამოიმუშავა ვეგეტა-
ტიური დაახლოების ხერხი, რომელიც წარმოებს შესაჯვარებე-
ლი წყვილის ერთიმეორეზე წინასწარი მყნობით. ამ მიზნით
შეიძლება მამად გამოსაყენებელი ფორმა დაემყნოს დედა მცე-
ნარეს, ან პირიქით.

ამ შემთხვევაში მყნობის წყალობით სანამყენოსა და
საძირის ურთიერთგავლენის შედეგად წარმოიქმნება ბიოლო-
გიურად უფრო მსგავსი მტვერი და კვერცხუჯრედი, რომე-
ლიც აადვილებს განაყოფიერების პროცესს. ზოგ შემთხვე-
ვაში შეუჯვარებლობის დასაძლევად მიჩურინი სარგებლობდა
აგრეთვე რამდენიმე სახეობის ან ჯიშის მტერის ნარევით.

შეუჯვარებლობის დასაძლევად უკანასკნელ დროს სარ-
გებლობენ აგრეთვე შემდეგი ხერხით. წინასწარ დაკოდულ
ყვავილებზე მტვერი მოგვიანებით გადააქვთ, როცა ბუტკო
თავისი დინგით თითქმის გამზადებულია მოსავარდნად. ასეთ
შემთხვევებში უფრო ადვილად ხდება ყვავილის განაყოფი-
ერება.

3. წიპწების მომზადება დასათესად და ნათესარების მოვლა-შესწავლა



როცა დამტვერიანებული ყვავილები კარგად მზის სხივებში ხორბლებიან, პერგამენტის პარკებს ხსნიან, მარმაშოს ტომსიკებს უკეთებენ. შეჯვარების შედეგად განვითარებული მტევნები რჩება ვაზზე მარცვლების სრულ დამწიფებამდე. შემდეგ წყვეტენ მტევნებს და მარმაშოს ტომსიკებით, რომლებშიც დევს შეჯვარების მათუწყებელი წარწერა, შიაქვთ დაწესებულებაში შესანახად. ზამთარში თესლს ათავისუფლებენ მარცვლიდან, რეცხავენ და ინახავენ თიხის ქილებში, ოდნავ ნოტიო ლამში გახვეულს. თიხის ქილებს ათავსებენ გრილ ოთახში, სადაც ტემპერატურა უნდა მერყეობდეს 2—8° ფარგლებში. ორი კვირით ადრე დათესვამდე ქილები ამოაქვთ თბილ ოთახში წიპწებს ალბობენ წყალში და კარგი ამინდის დადგომისას თესავენ კვლებში ან უშუალოდ ნაკვეთში. კვლებში დათესვისას რიგებს შორის ეძლევა 10—12 სმ, ხოლო წიპწებს შორის 4—6 სმ. წიპწების ადგილზე დათესვის შემთხვევაში რიგებს შორის მანძილის ცხენით დამუშავებისათვის აძლევენ 120—150 სმ, ხოლო რიგში წიპწებს შორის—6—8 სმ. სასელექციო ნაკვეთზე ნათესარებს ზრდა-განვითარების კარგი პირობები უნდა შეექმნეს: მოვლა მიზნად უნდა ისახავდეს ნაკვეთზე სინესტის შენარჩუნებას, სარეველების მოშორებას, ნიადაგის ფხვიერ მდგომარეობაში შენახვას და ნათესარების მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან დაცვას. ახალგაზრდა ჰიბრიდული ნათესარები გარემო პირობების გავლენით საგრძნობლად იცვლიან თავიანთ თვისებებს, ამიტომ აღზრდის პირობებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასურველი თვისებების გამოსამჟღავნებლად და გასაძლიერებლად. მიზანდასახული აღზრდით ნათესარი თავიდანვე უნდა შევარჩიოთ რაიონის არახელსაყრელი პირობების გადატანას. თუ მიზნად დასახულია ყინვაგამძლე ჯიშების მიღება, ისინი ცივ რაიონებში და ზამთარში მიუმარხავათ უნდა აღიზარდონ. დამატებით ამისა, ახალგაზრდა ნათესარები უნდა დაიმყნოს ამურის ვაზზე ან, პირიქით, ამურის ვაზის კალამი დაიმყნოს ნათესარზე

მათი ყინვაგამძლეობის გასაძლიერებლად. თუ მიზნად დასახულია სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მიმართ გამძლე ჯიშების გამოყვანა, ჰიბრიდული ნათესარების არაა და შეიწამლოს მათგან უკეთესების გამოსავლენის მიზნით უნდა დაიმყნოს ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზებზე ან საძირის კალმები—შერჩეულ ნათესარებზე სოკოვან ავადმყოფობათა და ფილოქსერის მიმართ გამძლეობის გასაძლიერებლად. ამ მუშაობასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა გაეუშვათ პროდუქციის (ყურძნის) ხარისხი. სახეობათა შორისი შეჯვარების დროს ხშირად ხარისხი უფრო ძნელი შესანარჩუნებელია, ვიდრე გამძლეობა. ამიტომ ერთი წლით ადრე ნათესარის მოსავალში შესვლამდე უნდა მკვეთრად გაუმჯობესდეს მისი კვების პირობები, რისთვისაც ორგანულ სასუქთან ერთად შეტანილ უნდა იქნეს აგრეთვე ფოსფორი და კალიუმი გრანულების სახით. მოსავალში შესვლის წელს ნიადაგში შესატანი სასუქების რაოდენობა უნდა გადიდდეს და დაემატოს ერთი-ორი დამატებითი გამოკვება. მოსავალში შესვლის დროს დასაჩქარებლად უნდა ვერიდოთ ნათესარების ხშირ გადარგვას და მოკლე გასხვლას; გადარგვა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, პირველი წლის ბოლოს. ამ დროს ხდება ზოგი ნათესარის წუნდებაც. გადარგვის შემდეგ ჰიბრიდებს უნდა მიეცეს რაიონში მიღებული კვების არე, ფორმა და კარგი მოვლადამუშავება. ნაწილი ჰიბრიდების შეფასება და წუნდება შეიძლება მოსავალში შესვლამდე. მაგალითად, ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანის დროს ყინვისაგან ძლიერ დაზიანებული ნათესარები, თუ ისინი სხვა კარგ თვისებას არ ამჟღავნებენ, პირველი ან მეორე წლის ბოლოს შეიძლება გამოითიშოს. ერთწლიანი რქების მომწიფების ვადის მიხედვითაც (როდის და რა სიგრძეზე) შეიძლება ყინვაგამძლეობისა და სიმწიფეში ადრე შესვლის ვადის დაჭერა. რაც უფრო ადრე, სწრაფად და კარგად მწიფდება ერთწლიანი რქები, მით უფრო საადრეო და უფრო ყინვაგამძლე უნდა დადგეს ნათესარი. ასევე შეიძლება სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლე ჯიშის გამოკვლინება, ამისათვის საჭიროა ნათესარების შეუწყამლავად



დატოვება ან მათი ხელოვნური დაზიანება. ასეთ პირობებში ძლიერ ადვილად შეიძლება არაგამძლე ფორმების წარმოქმნა და მათი გამოთიშვა, თუ ისინი სხვა რაიმე ფორმის მქონე არ არიან დაჯილდოვებული. ნათესარების პირველ მოსავალში შესვლიდან იწყება ფენოლოგიური დაკვირვების წარმოება. ყვავილობის დასაწყისშივე ცალკეული ნათესარების მიხედვით შეისწავლება ყვავილის აგებულება ყველა არასასურველი აგებულების ყვავილის (მამრობითი, მამრობითისაკენ გარდამავალი) მქონე ნათესარები ადრევე ითიშება დაკვირვებიდან. ნათესარების უფრო სრული და ნამდვილი შეფასება შეიძლება მათი სრულ მოსავლიანობაში შესვლის შემდეგ. ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, რომ მოსავლის პირველ წელს—ვაზის მოსავლიანობაზე, მისი მტევნის სიდიდესა და მარცვლის ხარისხზე გადაწყვეტილ მსჯელობა არ შეიძლება, რადგან ასაკში თანდათან შესვლით და კვების გაუმჯობესებით მტევნის და მარცვლების სიდიდე და საერთოდ ვაზის მოსავლიანობა მატულობს და ზოგჯერ მკლავნდება ზოგიერთი ახალი თვისებაც. ყოველივე ამის გამო ახალი ჯიშების შეფასების დროს არ უნდა ავჩქარდეთ და დასკვნა ნაადრევად (მოსავალში შესვლიდან 3—4 წელზე ადრე) არ უნდა გამოვიტანოთ. ნათესარები ხანგრძლივ და გულდასმით შესწავლას მოითხოვენ. ვაზის ნათესარი, მიუხედავად იმისა შეჯვარებისა თუ თავისუფლად დაყვავილების შედეგად მიღებული წიბწისაგან იქნება აღმოცენებული, ხასიათდება აგრობიოლოგიური და სამეურნეო ტექნოლოგიური თვისებების საგრძნობი ცვალებადობით. ყოველი ნათესარი ცალკეულ ჯიშს წარმოადგენს, ამიტომ მათი შესწავლა ინდივიდუალურად (ძირობრივად) უნდა წარმოებდეს. ნათესარების შესწავლა უნდა ითვალისწინებდეს ძირითადად:

ა) ფენოლოგიური დაკვირვების წარმოებას ცალკეულ თაზების (კვირტის გაშლის, ყვავილობის, სიმწიფის დასაწყისისა და სრული სიმწიფის) მსვლელობასა და მთელი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაზე. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ყურძნის მეტად საადრეო, საადრეო, საშუალო, საგვიანო და მეტად საგვიანო სიმწიფის ნათესარები;



ბ) სამეურნეო აღრიცხვებისა და დაკვირვების წარმოებას ნათესარების მოსავლიანობის (რქის პროდუქციისა, მოსავლიანობის კოეფიციენტი, მტევნის საშუალო წონისა) სადგენად მოვლის სხვადასხვა პირობებში; ზამთრის ყინვების, გვალვისა და აგრეთვე ნაცრის, კრაქისა და ფილოქსერას მიმართ შედარებითი გამძლეობის დასადგენად;

გ) ლაბორატორიული ანალიზების წარმოებას ყურძნის მექანიკური შემადგენლობის დასადგენად, ყურძნის წვენი შაქრიანობის, მყავიანობის განსასაზღვრად და საცდელი ღვინოების დამზადებას მათი ორგანოლექტიკური (გემური) თვისებების შესაფასებლად და ქიმიური ბუნების დასადგენად.

შესწავლის აღნიშნული წესით და მოპოვებული მასალების დაპირისპირებით წარმოებს საუკეთესო ნათესარების განოვლინება. გამოვლინებული ნათესარები მრავლდება მათი კვირტების ფილოქსერაგამძლე საძირებზე მყნობით. სამყნობად შეირჩევა კარგად მომწიფებული, სალი და კარგად განვითარებული რქები. მიღებული ნამყენები 10—15 ცალის რაოდენობით ირგვება სასელექციო ნაკვეთში უფრო დეტალური (დაწვრილებით) შესწავლისათვის (ნათესარების მეტი რაოდენობის ძირებზე). დეტალური შესწავლა-შემოწმების შედეგად გამოვლინებული საუკეთესო ნათესარები გადაეცემა სახელმწიფო ჯიშთა კომისიას წარმოების პირობებში გამოცდა-შემოწმებისა და დანერგვისათვის.

გამოვლინებული ნათესარების სახელმწიფო ჯიშთა გამოცდაში გადაცემამდე უნდა მოხდეს მათი ბოტანიკური ნიშნების აღწერა, აგრობიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების სრული დახასიათება საკავშირო ამპელოგრაფიის რედაქციის მიერ შემუშავებული მეთოდისა და სქემის მიხედვით.

სარჩევი

შესავალი	3
I. ვაზის ჯიშების შერჩევა მევენახეობის რაიონებისათვის	6
II. ვაზის მასობრივი სელექცია	14
1. ვენახების აპრობაციის მიზანი და ამოცანები	15
2. ვაზის მასობრივი სელექციის ამოცანები და მეთოდები	20
3. მასობრივი სელექციის წარმოებისა და შედეგების აღრიცხვის წესები	26
4. აპრობაციისა და მასობრივი სელექციის წარმოება ფილოქსერაგამძლე სადედეში, სანერგეებსა და ახალშენ ვენახებში	29
III. ვაზის კლონური სელექცია	35
1. კლონური სელექციის წარმოების წესი	36
2. გამოვლინებული მოდგმების შემკვიდრეობითი შემოწმება	39
3. გამოვლინებული კლონების გამოცდა	41
IV. ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა	42
1. მშობელთა წყვილის შერჩევა და ახალი ჯიშის მიღების მეთოდები	43
2. შეჯვარების წარმოება	47
3. წიპწების მომზადება დასათესად და ნათესარების მოვლა-შესწავლა	51



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. რამიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი ა. თოდუა

კორექტორი მ. ჯაყელი

ჯადაცა წარმოებას 30.8.1956; ანაწყოების ზომა $5\frac{1}{2} \times 9$; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 18.10.1956; ქალაქის ზომა $84 \times 108/32$;
ქალაქის ფურცელი 0,875; საბეჭდი ფურცელი 2,87; საავტორო
ფურცელი 2,31; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 2,37;
შეკვეთა 1468; უე 04586; ტირაჟი 2000
ფასი 75 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5

ფასი 75 კაპ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дмитрий Иванович Табидзе
СЕЛЕКЦИЯ ВИНОГРАДА
(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1956



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა